პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
5 დეკემბერი
1942 წ.
№ 288 (6604)
ფასი 15 კაპ.

## „სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის წმინდათა-წმინდა მოვალეობაა“.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 133-ე მუხლი



# დიადი სტალინური კონსტიტუციის დროშით!

ექვსი წელია ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოში ამაყად ფრიალებს სტალინური კონსტიტუციის ძლევამოსილი დროშა.

ექვსი წლის წინათ, 1936 წლის 5 დეკემბერს საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობამ მიიღო სსრ კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). ეს იყო უდიდესი ისტორიული მოვლენა. სტალინურ კონსტიტუციაში რეგისტრირებულ და საკანონმდებლო წესით განმტკიცებულ იქნა ის მსოფლიო-ისტორიული მონაპოვრები, რასაც მრავალმილიონიანმა საბჭოთა ხალხმა მიაღწია ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ათეული წლების მანძილზე შეუპოვარი ბრძოლისა და შრომის შედეგად.

სტალინურ კონსტიტუციაში ასახულია ჩვენს ქვეყანაში მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეების ხორცშესხმა. ის, რაზედაც საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდნენ კაცობრიობის მოწინავე, საუკეთესო ადამიანები, ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულ იქნა. ეს მონაპოვრები აისახა ეპოქის უდიდეს დოკუმენტში—სტალინურ კონსტიტუციაში.

ისტორიას არ ახსოვს ასეთი კონსტიტუცია. მასში განხორციელებულია თანმიმდევრობითი და ბოლომდე დაცული დემოკრატიზმი. სსრ კავშირის კონსტიტუცია გამოდის იმ წინამძღვრებიდან, რომ სოციალიზმი და დემოკრატია უძლეველნი არიან. მან საბჭოთა მოქალაქეებს მიანიჭა დიადი უფლება-მოვალეობანი და მეცნიერული სიზუსტით ასახა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი წყობის მთელი გრანდიოზული შენობა. სტალინურმა კონსტიტუციამ არა მარტო დიადი უფლებები მიანიჭა საბჭოთა მოქალაქეებს, არამედ იგი უზრუნველჰყოფს ამ უფლებათა განხორციელებას. საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე თავის ისტორიულ მოხსენებაში სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ ამხანაგი სტალინი ამბობდა: „ახალი კონსტიტუციის პროექტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ სჯერდება მოქალაქეების ფორმალურ უფლებათა ფიქსირებას, არამედ სიმძიმის ცენტრი გადააქვს ამ უფლებათა გარანტიების საკითხზე, ამ უფლებათა განხორციელების საშუალებების საკითხზე“.

საბჭოთა ადამიანებმა სახიხარულო, ბედნიერი ცხოვრება დაიმკვიდრეს, ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, განმტკიცებულია სსრ კავშირის ხალხთა ძმობა და მეგობრობა, აყვავდა და გაიფურჩქნა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. დიდია სსრ კავშირის მრავალეროვან ხალხთა მონაპოვრები!

და ამ დიადი მონაპოვრების წინააღმდეგ სისხლიანი ტორი აღმართა გერმანიის მხეცურმა იმპერიალიზმმა. ავაზაკ ჰიტლერის ურდოები, რომლებიც ვერაგულად დაესხნენ თავს ჩვენს წმინდა სამშობლოს, ცდილობენ მოსპონ ჩვენი ქვეყანა, საბჭოთა ხალხებს წაართვან სსრ კავშირის კონსტიტუციით განმტკიცებული დიადი უფლებანი, ღირსება და თავისუფლება. მაგრამ ეს არასოდეს არ მოხდება! ის ხალხი, რომელმაც მოიპოვა დიადი სტალინური კონსტიტუცია, არასოდეს არ გახდება სხვისი მონა. ჩვენი კონსტიტუცია წარმოადგენს საბრალდებო აქტს ფაშიზმის წინააღმდეგ, ჰიტლერული ხროვის მიერ ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბარბაროსული წართმევის წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხი, გმირი წითელი არმია ისტორიაში უმაგალითო მამაცობით იცავენ სოციალისტურ სამშობლოს. საბჭოთა ადამიანები დიადი სტალინური კონსტიტუციის დროშით ფრონტზე და ზურგში სჭედენ ვერაგ მტერზე გამარჯვებას, წმინდად იხდიან თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ **„სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის წმინდათაწმინდა მოვალეობაა“**, როგორც ეს ჩაწერილია ჩვენი ქვეყნის ძირითად კანონში.

დიადი სტალინური კონსტიტუციის დროშით ჩვენ ვიბრძოდით და ვიმარჯვებდით!

დიადი სტალინური კონსტიტუციის დროშით ჩვენ გავიმარჯვებთ სამამულო ომში გერმანია-იტალიის მხეცური იმპერიალიზმის წინააღმდეგ!

უკვე მეთვრამეტე თვეა საბჭოთა ხალხი ისტორიაში უმაგალითო მამაცობით ებრძვის ჰიტლერის ავაზაკურ ურდოებს და იცავს სოციალისტური სამშობლოს წმინდათაწმინდა მიწა-წყალს. წითელმა არმიამ არა ერთი გამანადგურებელი დარტყმა აგემა ვერაგ მტერს, კოლოსალური ზარალი მიაყენა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. დიდი სტალინის 6 ნოემბრის ისტორიული მოხსენებითა და 7 ნოემბრის ბრძანებით აღფრთოვანებულმა წითელი არმიის ნაწილებმა გამანადგურებლად დაარტყეს ფაშისტურ ურდოებს კავკავის (ორჯონიკიძის) რაიონში. წითელი არმიის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ ვოლგის ციხე-სიმაგრის—ლეგენდარული სტალინგრადის რაიონში და ცენტრალურ ფრონტზე. წითელი არმიის წარმატებით შეტევით აღფრთოვანებული მთელი საბჭოთა ხალხი ზურგში დღითი-დღე აძლიერებს დახმარებას ფრონტისადმი და ახალ-ახალი შრომითი საგმირო საქმეებით უპასუხებს დიდი ბელადის, გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** 6 ნოემბრის ისტორიულ მოხსენებას. რაც უფრო გადის დრო, მით უფრო იზრდება და მტკიცდება ჩვენი წინააღმდეგობის ძალა ულმობელ მტერთან ბრძოლაში.

მეორე წელია საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს—5 დეკემბერს მთელი საბჭოთა ხალხი თავისი ნებასურვილით, რაც მთავრობამ დააკმაყოფილა, ატარებს შრომაში, რათა კიდევ უფრო მეტად დაეხმაროს წითელ არმიას მისი დიადი მისიის შესრულებაში—ჰიტლერული სიბილწისაგან ჩვენი სამშობლოს მიწა-წყლის გაწმენდაში.

მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი წითელი არმია შთაგონებულია დიადი იდეით — დაიცვას სოციალისტური სამშობლო მტრისაგან, შეასრულოს თავისი უპირველესი მოვალეობა, რაც ჩაწერილია სტალინური კონსტიტუციის 133 მუხლში.

და ამ ვალს საბჭოთა ადამიანები ბოლომდე ღირსეულად შეასრულებენ. გერმანია-იტალიის ფაშისტური ურდოები მოსპობილ იქნებიან. ჩვენი სამშობლოს წმინდათაწმინდა მიწა-წყალი განთავისუფლებული იქნება ფაშისტური სიბინძურისაგან.

**ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის ძლევამოსილი დროშით ჩვენ ვიბრძოდით და ვიმარჯვებდით!

**ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის ძლევამოსილი დროშით ჩვენ გავიმარჯვებთ სამამულო ომში პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ!

გაუმარჯოს დიად სტალინურ კონსტიტუციას!

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით იმ მუშაკების დაჯილდოების შესახებ, რომელთაც თავი გამოიჩინეს მშენებლობაზე

მშენებლობის დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოებულ იქნან:

1. ანანოვი ლევან ათანასეს-ძე,
2. გოჩიაშვილი ნიკოლოზ ესტატეს-ძე,
3. ჯავაშვილი ალექსანდრე სიმონის-ძე,
4. ჯორჯიკია ნესტორ კონსტანტინეს-ძე,
5. დოლიძე ვასილ ისიდორეს-ძე,
6. ჟემბროვსკი კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე,
7. კალიხოვი ივანე ანდრიანეს-ძე,
8. ყრუაშვილი ტიმოთე სოლომონის-ძე,
9. უუბანეიშვილი ბესარიონ იაკობის-ძე,
10. ლეჟავა ნიკოლოზ პავლეს-ძე,
11. მარტიროსოვი მარტიროს ქრისტეფორეს-ძე,
12. მარშანია ბიქტორ ქრისტეფორეს-ძე,
13. მაჩაიძე ვლადიმერ ალექსის-ძე,
14. ნიკოლოსოვი ვაჰან არშაკის-ძე,
15. ჩაიკა ანატოლი იაკობის-ძე,
16. ჩეკანი ვლადიმერ სიმონის-ძე,
17. შალიკაშვილი შოთა ვლადიმერის-ძე,
18. შელეხოვა ეკატერინე ექვთიმეს-ასული,
19. ერისთავი ელენე რაფიელის-ასული.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ფ. სტურუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

1942 წლის 3 დეკემბერი. ქ. თბილისი.

## წითელი არმიის უფროსთა და რიგითი შემადგენლობის დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია წითელი არმიის უფროსთა და რიგითი შემადგენლობის ჯგუფი:

**ლენინის ორდენით** დაჯილდოებულია პოლკოვნიკი ა. ა. სარაევი;

**წითელი დროშის ორდენით** დაჯილდოებულია 36 კაცი;

**ალექსანდრე ნეველის ორდენით** დაჯილდოებულია ლეიტენანტი მ. ვ. დიაკინი;

**სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით** დაჯილდოებულია 36 კაცი;

**სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით**—51 კაცი;

**წითელი ვარსკვლავის ორდენით**—15 კაცი;

**მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“**—2 კაცი. (საკდესი).

## სტალინური კონსტიტუციის დღე მოსკოვში

დედაქალაქის მშრომელნი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ფართოდ აღნიშნავენ სტალინური კონსტიტუციის მიღების მეექვსე წლისთავს. მოსკოვის საწარმოებში ტარდება სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი საუბრები. რაიონულ აგიტპუნქტებში გახსნილია გამოფენები, რომლებიც წარმოადგენენ სსრ კავშირის ძირითადი კანონის მუხლების ილუსტრაციებს.

კვირას, 6 დეკემბერს, სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში კონსტიტუციის დღის აღსანიშნავად ჩატარდება სათხილამურო შეჯიბრება და მშრომელთა შეხვედრა ფრონტელ მწერლებთან.

სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში იხსნება გამოფენა. მის სამ განყოფილებაში „დიდი სტალინი—სოციალისტური სახელმწიფოს კონსტიტუციის შთამგონებელი და შემოქმედი“, „სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებანი“ და „ხალხის მთელი ძალები დიად მონაპოვართა და სტალინური კონსტიტუციის უფლებათა დასაცავად“ წარმოდგენილია წიგნები და საილუსტრაციო მასალები სოციალისტური მშენებლობის შესახებ.

## ცენტრალურ ფრონტზე

**ცენტრალური ფრონტი,** 4 დეკემბერი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან) ბრძოლა სწარმოებს მნიშვნელოვან ზღუდეთა უშუალო მახლობლად. ფაშისტთა სარდლობა ცდილობს ყოველნაირად დაიცვას ისინი. მტერს ბრძოლაში გამოჰყავს სარეზერვო ნაწილები, კონტრიერიშებზე გადმოდის. ჰიტლერელები იყენებენ საზიზღარ პროვოკაციას, ბრძოლაში ჰგზავნიან წითელარმიულ ფორმაში გადაცმულ თავის ჯარისკაცებს. მაგრამ მტრის არავითარ ხრიკს არ შეუძლია გასტეხოს ჩვენი მეომრების შეტევითი სწრაფვა. რჟევის დასავლეთით მოქმედმა ნ შენაერთმა გადალახა გერმანელთა ცეცხლითი წინააღმდეგობა და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავა. მძვინვარებდა ძლიერი ქარბუქი. მან გზები გაუვალი გახადა. მაგრამ ქვეითი ჯარი შეუპოვრად მიდიოდა იერიშზე და ხელჩართულ შეტაკებაში უკუაგდებდა მტერს. მათთან ერთად ურტყამდნენ არტილერისტები, მოხერხებულად ანგრევდნენ მტრის დასაყრდენ პუნქტებს ტანკისტები. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქვეგანაყოფმა სოსუნოვის მეთაურობით. ფაშისტებმა შექმნეს ერთი ზღუდის მტკიცე თავდაცვა, მიწაში ჩაფლეს ბევრი ტანკი, საიდანაც ირგვლივ უშენდნენ. სოსუნოვმა კარგად დაზვერა მტრის პოზიციების მისადგომები, შემოსავლელი გზებით წაიყვანა თავისი მებრძოლები და მტრის ზურგში გავიდა. მეთაურმა სწრაფად გაანაწილა ძალები და წითელარმიელებს უბრძანა, ერთდროულად ყველა სახეობის იარაღის ცეცხლი გაეხსნათ. ზურგიდან უეცარი დარტყმით თავზარდაცემულმა ჰიტლერელებმა უკანდახევა იწყეს, მაგრამ სხვა ქვეგანაყოფთა ჯვარედინ ცეცხლში მოხვდნენ. ზღუდეთა დაკავებულია საბჭოთა ქვეგანაყოფების მიერ.

ამ ბრძოლაში დიდი როლი შეასრულეს არტილერისტებმა. ბრძოლის გადამწყვეტ მომენტში მემიხნე ხასამშინმა ქვემეხი ღია პოზიციაზე გამოაგორა და მარჯვე მოხვედრით 5 ძელმიწური საცეცხლე წერტი დაანგრია. გადარჩენილი ფაშისტები ის იყო ერთს შენობაში დაიმალნენ. ხასამშინმა რამდენიმე სროლით დაანგრია შენობა და მის ნანგრევებში დამარხა იქ მყოფი გერმანელები.

გვარდიის ნ ნაწილის არტილერისტებმა ორ დღეში მოსპეს მტრის სანაღმტყორცნო ბატარია, 7 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 5 სატყვიამფრქვევო ბუდე, 2 ქვემეხი, ჩაახშეს 8 საარტილერიო და 3 სანაღმტყორცნო ბატარია და გასწყვიტეს 200-ზე მეტი გერმანელი. გვარდიის სერჟანტმა პროდანჩუკმა, მიიღო ბრძანება, მოესპო მტრის სანაღმტყორცნო ბატარია, იგი განუწყვეტელ სროლაში მტრის თავდაცვასთან მიხოხდა და ცეცხლის კორექტირება იწყო. პროდანჩუკი ნამსხვრევებით დაიჭრა, მაგრამ განაგრძობდა ცეცხლის კორექტირებას მანამდე, სანამ გერმანელთა ნაღმსატყორცნები მოსპობილ არ იქნენ.

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

## 4 დეკემბრის დილის ცნობა

3 დეკემბრის ღამის განმავლობაში **სტალინგრადის** რაიონში და **ცენტრალურ** ფრონტზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას წინანდელი მიმართულებებით.

* * *

სტალინგრადის საქარხნო რაიონში ჩვენი ჯარები ცეცხლით ბრძოლასა და მტრის დაზვერვას ეწეოდნენ. ნ ნაწილის არტილერისტებმა დაანგრიეს გერმანელთა 8 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, მოსპეს 3 ქვემეხი, 15 სატყვიამფრქვევო წერტი და გასწყვიტეს მტრის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. გვარდიელ ნაღმტყორცნელთა ცეცხლითი თავდასხმით გაფანტულია მტრის ქვეითი ჯარისა და ავტომანქანების დაჯგუფება.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ძალთა ნაწილით განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს და მთელ რიგ უბნებზე იგერიებდნენ მტრის კონტრიერიშებს. გერმანელთა ქვეითი ჯარის ბატალიონმა 5 ტანკის დახმარებით იერიში მოიტანა ნ ქვეგანაყოფის პოზიციებზე. გაჩაღდა ბრძოლა, რომელიც ხელჩართული შეტაკებით დამთავრდა. ჩვენმა მებრძოლებმა უკუაგდეს მტერი და გასწყვიტეს 150 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ გერმანელთა 2 დაზიანებული ტანკი, 5 ქვემეხი, 10 ავტომანქანა, 42 საზიდარი და 2 რადიოსადგური. წითელარმიელმა ამხ. ეგოროვმა და სერჟანტმა ამხ. პეტუხოვმა თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჩამოაგდეს მტრის სამმოტორიანი სატრანსპორტო თვითმფრინავი.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ. ნ ნაწილმა გერმანელთაგან გასწმინდა მთელი რიგი ძელმიწური საცეცხლე წერტები და ბლინდაჟები და დახოცა მტრის 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. მტერი ორჯერ შეეცადა დაებრუნებინა დაკარგული პოზიციები, მაგრამ უკუგდებულ იქნა. სხვა უბნებზე ჩვენი ქვეგანაყოფები ბრძოლით დაზვერვას ეწეოდნენ და ერთ ასეულამდე ჰიტლერელი დახოცეს.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და იგერიებდნენ მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს. რჟევის დასავლეთით ნაწილებმა ამხ. პოვეტკინის მეთაურობით სამი დღის განმავლობაში მოსპეს გერმანელთა 5 ტანკი, 7 ჯავშნიანი მანქანა, 9 ქვემეხი და 12 ნაღმსატყორცნი. წამოღებულია დავლა: 24 ქვემეხი, 10 ნაღმსატყორცნი, 164 ტყვიამფრქვევი, 900-მდე შაშხანა და ავტომატი, 60-ზე მეტი ავტომანქანა, 8 რადიოსადგური, 9 საწყობი და ერთ მილიონამდე ვაზნა. ამ ბრძოლაში მტერმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით რამდენიმე ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა. რჟევ-ვიაზმის გზის რაიონში ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს მტრის კონტრიერიში და გასწყვიტეს გერმანელთა ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ჩვენი სანაპირო არტილერიის ცეცხლით ჩრდილოეთში ჩაძირულია მტრის ორი ტრანსპორტი 16.000 ტონამდე საერთო წყალწყვისა.

* * *

ორიოლის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო მტრის 3 სარკინიგზო ეშელონი. დამტვრეულია 3 ორთქლმავალი, 30 ვაგონი, 15 პლატფორმა, მათ შორის 6 პლატფორმა, რომლებზეც ქვემეხები იყო. მარცხის დროს მოკლულია 140 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ორიოლელ პარტიზანთა სხვა რაზმმა გასწყვიტა 200-მდე ჰიტლერელი და ხელთ იგდო მათი იარაღი.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე ტყვედ წამოყვანილია გერმანელთა 216-ე ქვეითი პოლკის ჯარისკაცების ჯგუფი. ტყვე ობერ-ეფრეიტორებმა ვილი ზიპმანმა, გუსტავ შტიმბაუერმა და ჯარისკაცმა ჰენრიხ კეენმა განაცხადეს: „ზაფხულში და შემოდგომაზე ჩვენ სიმაგრეებს ვაგებდით და ზამთრის ბრძოლებისათვის ვემზადებოდით. მაგრამ მაინც რუსთა შემოტევამ მოუმზადებელს მოგვისწრო. უდიდესი განადგურება გამოიწვიეს ჩვენში რუსთა არტილერიამ და მძიმე ტანკებმა. ჩვენი ბატალიონის ჯარისკაცებმა ვერ გაუძლეს და გაიქცა-გამოიქცნენ. ოფიცრები გვეუბნებოდნენ, მოვახერხებთ გამკლავებას, თუ მიწაში ჩავძვრებითო. რუსთა შემოტევამ ეს ილუზიები გაჰფანტა. ახლა ყველას ესმის, რომ რუსები თავს მოგვახვევენ ბრძოლებს და მოსვენებას არ მოგვცემენ. ამას წინათ ასეულებში წაიკითხეს ჰიტლერის ბრძანება—იბრძოლეთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდეო. ეს ბრძანება ისე მოვისმინეთ, როგორც ცენტრალურ ფრონტზე გერმანელთა ჯარებისათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი“.

## 4 დეკემბრის საღამოს ცნობა

4 დეკემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები **სტალინგრადის** რაიონში განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს დასახლებული პუნქტები **იაქტი-იული, სენიშინი, სავინსკი, ლისინსკი, პოპოვი, ვერხნე-ჩირსკი, ჩეპურინი, დეევი, პარშინი** და სადგური **ხეკრეტევი.**

**ცენტრალურ** ფრონტზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას წინანდელი მიმართულებებით და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

* * *

3 დეკემბერს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს გერმანელთა 14 ტანკი, 200-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და სხვადასხვა ტვირთიანად,ააფეთქეს 2 საწყობი სომარი მასალა, დაამსხვრიეს ერთი სარკინიგზო შემადგენლობა, ჩაახშეს 10 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მოწინააღმდეგის 1 ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილოეთ განაპირა უბანში ჩვენმა ნაწილებმა 200-300 მეტრით წაიწიეს წინ და დაიკავეს მოწინააღმდეგის მთელი რიგი გამაგრებული პოზიციები. საქარხნო რაიონში ჩვენმა ჯარებმა ჰიტლერელებისაგან გასწმინდეს ერთი უბანი. გერმანელებმა 500-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით. ხელთ ვიგდეთ დავლა.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით, მდინარე დონის მარცხენა ნაპირზე, ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს და სპობდნენ მოწინააღმდეგის დასაყრდენ პუნქტებს. ნაწილი ამხ. მიშინსკის მეთაურობით დილაადრიან შეტევაზე გადავიდა. ჩვენი მებრძოლები ორი მხრიდან შემოერტყნენ გარს მოწინააღმდეგის დასაყრდენ პუნქტს და უკან დასახევი გზები გადაუჭრეს გერმანელებს. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა, რომელიც მტრის გარნიზონის სრული განადგურებით დამთავრდა. დღის დამლევისათვის ჩვენმა მებრძოლებმა დაიკავეს მაღლობი, რომელიც მიდამოს დაჰყურებს, და გამაგრდნენ მასზე. მოწინააღმდეგემ ამ ბრძოლაში მარტო მოკლულთა სახით 600-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

* * *

სტალინგრადის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ძალების ნაწილით შეტევას ეწეოდნენ და დაიკავეს ძლიერ გამაგრებული დასახლებული პუნქტი. ამ პუნქტისათვის ბრძოლაში მოსპობილია 1.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 6 ტანკი, 19 ტყვიამფრქვევი და 2 ავტომანქანა. დანგრეულია მტრის 30 ძელმიწური საცეცხლე წერტი. თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 2 თვითმფრინავი. სხვა უბანზე ტანკისტებმა ამხ. პარხომენკოს მეთაურობით მოწინააღმდეგესთან გააფთრებულ ბრძოლაში მოსპეს გერმანელთა 3 ტანკი, 3 ქვემეხი, 4 ავტომანქანა და 150 ჰიტლერელი.

* * *

ცენტრალურ ფრონტზე გრძელდებოდა ჩვენი ჯარების შეტევა. ველიკიე ლუკის რაიონში ჩვენი ნაწილები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დასაყრდენი პუნქტების ლიკვიდაციისათვის. ნ ნაწილის მებრძოლებმა წინ წაიწიეს და გაანადგურეს გერმანელთა ბატალიონი; ეს ბატალიონი იცავდა მაღლობს, რომელიც კონტროლს უწევს დიდმნიშვნელოვან გზას. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ასობით გვამი. ხელთ ვიგდეთ დავლა: 41 ტყვიამფრქვევი, 1 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 7 ავტომანქანა და 1 საწყობი სომარ მასალიანად.

რჟევის დასავლეთით მდებარე რაიონში ნ შენაერთმა დასძლია მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავა. ერთ უბანზე გერმანელთა ბატალიონი ქვეითი ჯარი ტანკების საფარქვეშ კონტრიერიშზე გადმოვიდა. ჩვენმა მებრძოლებმა კონტრდარტყმით გაანადგურეს მტერი. ბრძოლის ველზე დარჩა მოწინააღმდეგის 300-მდე გვამი. დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა რამდენიმე ტანკი. ხელთ ვიგდეთ 12 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 2 თვითმავალი ქვემეხი, 1 ვარგისი ტანკი, 57 ტყვიამფრქვევი და დიდძალი სხვა საჭურველი.

* * *

პოლესიეს ოლქში (ბელორუსია) მოქმედმა პარტიზანთა რაზმმა ერთი თვის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის 37 სარკინიგზო ეშელონი. დამსხვრეულია 461 ვაგონი და 72 ცისტერნი საწვავიანად. გარდა ამისა, პარტიზანებმა ააფეთქეს 17 სარკინიგზო და გზატკეცილის ხიდი. გერმანელ დამპყრობებთან ბრძოლებში და მატარებელთა დამსხვრევის დროს მოსპობილია მტრის ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ზაფხულის წარმატებებით გაბრუებულ და ცრუ რომშივით გაბრიყვებულ გერმანელ ჯარისკაცებს იმედი ჰქონდათ, რომ გერმანიის არმია შესძლებდა ერთი დარტყმით ხელში ჩაეგდო სტალინგრადი. ჰიტლერი ჯერ კიდევ სექტემბერში წინასწარმეტყველებდა სტალინგრადის მალე დაცემას. გერმანელი ჯარისკაცები თავისიანებისადმი მიწერილ წერილებში თუთიყუშებივით იმეორებდნენ ჰიტლერის მკვეხარა განცხადებებს. ობერ-ეფრეიტორი ჰენრიხ რაიფი 1 სექტემბერს სწერდა: „სტალინგრადი დღეს თუ ხვალ ჩვენს ხელთ იქნება. აქ ჩვენ თბილ ბინებში მოვთავსდებით და, ბოლოსდაბოლოს, დიდი ხნის ნანატრ დასვენებას ვეღირსებით“. 3 სექტემბერს, ხუთშაბათს, ჯარისკაცი ჰერგრად ჰომანი სწერდა: „ჩვენ ახლოს ვართ ჩვენს მიზანთან. იმედი მაქვს, რომ კვირას ჩვენ სტალინგრადის სრული ბატონ-პატრონები ვიქნებით“. უნტერ-ოფიცერი ვილი შმიდტი 26 სექტემბერს სწერდა: „ბრძოლა სტალინგრადთან ძლევამოსილ დასასრულს უახლოვდება. მალე სასწრაფო ცნობა გამცნობთ რუსეთის ამ სიმაგრის დაცემის ამბავს“.

ცოტა დრო გავიდა, და გერმანელ ჯარისკაცთა წერილების ტონი მკვეთრად შეიცვალა. წინანდელი ტრაბახის კვალიც აღარ დარჩენილა. ეფრეიტორი ჰენრიხ ჰაუველი 27 ოქტომბერს სწერდა: „ჩვენ ნამდვილ ეშმაკების ქვაბში მოვხვდით. აქ პირდაპირ ჯოჯოხეთია. დღითიდღე, ყოველ საათობით ჩვენი მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესი ხდება“. უნტერ-ოფიცერი ვალტერ ჰაისლერი სწერს მოკლულ ჯარისკაც კუნცეს მამას: „თავდაპირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა და ჩვენ წინ მივიწევდით. მაგრამ რაც უფრო ვუახლოვდებოდით ჩვენს მიზანს, მით უფრო გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ რუსები. ჩვენ იძულებული ვიყავით უკან დაგვეხია. ახლა რუსებს განუწყვეტლივ მოაქვთ იერიშები ჩვენზე. თქვენი შვილი დაიღუპა“. ეფრეიტორი ოტო კრეპელი ნოემბრის შუა რიცხვებში სწერდა: „სტალინგრადი ჩვენ ყელში გაგვეჩხირა. ასეულში მხოლოდ 7 კაცი დარჩა. ყველგან ჩანს ჯარისკაცთა სასაფლაოები. ახლა მარტო ერთი სიტყვა—სტალინგრადი—ჩვენ თავზარს გვცემს“.

* * *

საბერძნეთიდან იუწყებიან, რომ იტალიის ჯარებს შორის მოილდარებაა. პირეიში აჯანყდა იტალიელთა პოლკი, რომლის ჯარისკაცებმა უარი სთქვეს ფრონტზე წასულიყვნენ. ჟანდარმერიამ მრავალი ჯარისკაცი დააპატიმრა. დაპატიმრებულ ჯარისკაცებს ბორკილები გაუყარეს.

## სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით

**მოქმედი არმია,** 4 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე რაიონში, დონის აღმოსავლეთ ნაპირზე, ჩვენი ჯარების მიერ შევიწროებული გერმანელები ცდილობენ გამაგრდნენ თითოეულ ახალ მიჯნაზე, მაგრამ საბჭოთა მებრძოლების დარტყმების შედეგად ყოველთვის უკუიქცევიან ხოლმე, ამასთან დიდი ზარალი მოსდით ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ჩვენი მებრძოლნი განსაკუთრებულ მამაცობასა და გმირობას იჩენენ.

ნ ნაწილს ამოცანად ჰქონდა დასახული ხელთ ეგდო ერთი მაღლობი, რომელსაც დიდი ტაქტიკური მნიშვნელობა აქვს. უმცროსი ლეიტენანტი ვესელოვსკი თავისი მებრძოლებით პირველი შეიჭრა მტრის სანგრებში. მეთაურის მოადგილე კუზნეცოვმა მოსპო 5 ჰიტლერელი და, მიუხედავად იმისა, რომ დაჭრილ იქნა, მწყობრში დარჩა ბრძოლის დამთავრებამდე.

წითელარმიელებმა შვარევის მეთაურობით ბრძოლით დაიკავეს მოწინააღმდეგის მიერ წინადღითვე გამაგრებული პოზიციები, მარჯვე მანევრით მოსწყვიტეს მტრის ერთი ქვეგანაყოფი და მოსპეს იგი.

სხვა ადგილას მტრის ქვეითმა ჯარმა ტანკების დახმარებით სცადა კონტრიერიში მოეტანა ერთ-ერთ ჩვენს ქვეგანაყოფზე. გააფთრებული ბრძოლა ხელჩართული შეტაკებით დამთავრდა. ჰიტლერელები უკუქცეულ იქნენ, ამასთან მათ ბრძოლის ველზე დასტოვეს 150-ზე მეტი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი და დიდძალი სომარი ქონება. ჩვენი მებრძოლნი იერიშზე გადავიდნენ და კიდევ უფრო შორს გარეკეს მტერი.

წითელარმიელთა ჯგუფი ღამით მოწინააღმდეგის განლაგებაში შეიჭრა, ერთ-ერთ ბლინდაჟში 18 გერმანელი ჯარისკაცი აღმოაჩინა და მოსპო ისინი ექვსი გრანატით. მტრის ცდა, რომ გარს შემორტყმოდა წითელარმიელებს, მარცხით დამთავრდა. ჩვენმა მებრძოლებმა კიდევ 15 ფაშისტი მოსპეს და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

**გ. მაქსიმოვი**

## უკანასკნელი ცნობები

### საომარი მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში

**ლონდონი,** 4 დეკემბერი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ძალების სარდლობის შტაბის კომუნიკეში ნათქვამია, რომ მატერის რაიონში გრძელდება გააფთრებული ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობენ ავიაცია და სახმელეთო ჯარები. მოკავშირეთა ავიაციამ მოიგერია გერმანიის ბომბდამშენების იერიში და აიძულა ისინი ბომბები საკუთარი ჯარებისთვის დაეყარა თავზე. ინგლისის ავიაციამ ჩაფუშა გერმანიის ბომბდამშენების ცდა—თავს დასხმოდნენ ერთ-ერთ ნავსადგურს. გერმანიის ყველა ბომბდამშენი ან დაზიანებულ ან მოსპობილ იქნა.

### საომარი მოქმედება ლიბიაში

**ლონდონი,** 4 დეკემბერი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის შეიარაღებულ ძალთა სარდლობა მორიგ კომუნიკეში გადმოგვცემს, რომ არავითარი არსებითი ცნობის გადმოცემა სახმელეთო ჯარების მოქმედების შესახებ არ შეიძლება.

2 დეკემბერს ღამით ინგლისელთა მძიმე და საშუალო ბომბდამშენები თავს დაესხნენ ჰერაკლიონის აეროდრომს (კუნძული კრეტა), სადაც ბევრგან ხანძარი გაჩნდა.

### საბერძნეთის მარიონეტული „პრემიერის“ ჩოლაკოღლუს გადადგომა

**ჟენევა,** 4 დეკემბერი (საკდესი). ათენში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ საბერძნეთის მარიონეტულმა პრემიერ-მინისტრმა გენერალმა ჩოლაკოღლუმ გამოაცხადა თავისი გადადგომა, მოიმიზეზა რა „თავისი ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა“. ოკუპანტებმა ახალ „პრემიერ-მინისტრად“ დანიშნეს ლოგოთეტოპულოსი.

ჟურნალისტთა წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ჩოლაკოღლუმ დააჩქარა თავისი გადადგომა მას შემდეგ, რაც ინგლისელთა ჯარებმა რომმელის გერმანელ-იტალიელთა არმია გაანადგურეს, ხოლო მოკავშირეთა ჯარები ჩრდილოეთ აფრიკაში გადასხდნენ. ჰიტლერელი მარიონეტები ვირთაგვებივით გარბიან გემიდან, რომელიც იძირება.

### ანტიფაშისტური ბრძოლა კუნძულ სიცილიაზე

**ნიუ-იორკი,** 4 დეკემბერი (საკდესი). გაზეთი „პმ“ იუწყება, რომ ამას წინათ კუნძულ სიცილიაზე მრავალრიცხოვანი მასობრივი ანტიგერმანული დემონსტრაციები მოხდა. სულ უფრო ხშირად ხდება მოსახლეობის შეტაკება გერმანელებთან, რადგან კუნძულზე განლაგებული გერმანელთა ნაწილები ძალაუობას მიმართავენ ადგილობრივი ქალიშვილებისადმი. ამას წინათ ქუჩებში შეტაკებათა შედეგად დაჭრილ იქნა რამდენიმე გერმანელი მფრინავი. გერმანელთა ნაწილების სარდალმა კუნძულზე გენერალმა ფონ მიულერმა გამოაქვეყნა ბრძანება, სადაც გერმანელთა ნაწილებს აფრთხილებს პროვოკაციულ მოქმედებათაგან, რომლებიც შეურაცხჰყოფენ სიცილიის მოსახლეობის გრძნობებს.

სიცილიის ბევრ ქალაქში საზოგადოებრივი შენობების კედლებსა და ქვაფენილებზე ხშირად ჩნდება ანტიფაშისტური ლოზუნგები. პალერმოში მოკლულია პოლიციის გავლენიანი მოხელე სპადა, რომელიც მუსოლინის მიერ გაგზავნილი იყო კუნძულზე „წესრიგის დასამყარებლად“.

### უნგრელ მმართველებს აშინებს ზურგის მდგომარეობა

**სტამბოლი,** 4 დეკემბერი (საკდესი). გაზეთი „დონაუ ცაიტუნგი“ იუწყება, რომ უნგრეთის სამხედრო მინისტრმა ნადმა, რომელმაც მოხსენება გააკეთა პარლამენტში, აღიარა, რომ სამხედრო სარდლობას სერიოზულ შეშფოთებას ჰგვრის ზურგის მდგომარეობა. სარდლობა მოსახლეობისაგან მოითხოვს არა მარტო მხარის დაჭერას არმიისათვის, არამედ მისდამი ურყევ რწმენასაც, — განაცხადა ნადმა და დასძინა, უნგრეთში სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ იმაზე, რომ „უნგრელთა არმია დონზე სხვისი ინტერესებისათვის იბრძვისო“. ნადმა პარლამენტისაგან მოითხოვა „შესწყდეს ბრძოლა პარტიათა შორის, ლიკვიდირებულ იქნას შემაშფოთებელი ხმები და დაცულ იქნას სიდინჯე ომის ასპარეზზე შეცვლილი მდგომარეობის ვითარებაშიც კი“.

უნგრული გაზეთების ცნობით, ბუდაპეშტის ტრიბუნალმა უნგრელთა დიდ ჯგუფს—60 კაცს—პატიმრობა მიუსაჯა „კომუნისტურ საქმიანობაში“ ბრალდების გამო,—ბრალდებულნი სახლების კედლებზე აკრავდნენ ომის საწინააღმდეგო ფურცლებს. ბუდაპეშტში დაპატიმრებულია რამდენიმე ასეული კაცი. ქალაქ კაპოშვარში დაპატიმრებულია მუშათა დიდი ჯგუფი იმისათვის, რომ ისინი გამოდიოდნენ ჰიტლერული გერმანიის მიერ უნგრეთის დამონების წინააღმდეგ. ქალაქ სენტეშში ჩამოხრჩობილია 9 კაცი მთავრობის საწინააღმდეგო და ომის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის.

ომით უკმაყოფილება გამოიხატება საბოტაჟის აქტებით და ხელისუფალთა საწინააღმდეგო მოქმედებით. ნოემბრის დამდეგს უცნობთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო საქონლის მატარებელი, რომელიც სურსათიანად გერმანიაში მიემართებოდა.

# საქართველოს მამაცი შვილები სამამულო ომის ფრონტებზე

## ორდენოსანი უფროსი პოლიტხელი ს. გომელაური



საბა ნიკოლოზის-ძე გომელაური დაიბადა 1907 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ მირზაანში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მისი მამა იმდენად გაჭირვებული იყო, რომ სოფლის სკოლაშიც კი ვერ ასწავლა თავის შვილს, და ათი წლის საბა მიაბარა მოჯამაგირედ. ყრმობის წლები საბამ მოჯამაგირეობაში გაატარა, მხოლოდ 7 წლის შემდეგ, 1924 წელს, მან შესძლო დაბრუნება თავის ოჯახში. 1929 წელს ამხ. გომელაური გაიწვიეს წითელ არმიაში. ამიერიდან მისი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა. აქ მას მიეცა სწავლის საშუალება. სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ იგი დარჩა წითელი არმიის რიგებში ზემსახურად და, როგორც კარგ უმცროს მეთაურს, მას მიანიჭეს ოცეულის მეთაურობა. 1932 წელს დროებით ასეულის მეთაურის თანამდებობასაც კი ასრულებდა. 1931 წელს ამხ. გომელაური შევიდა საკ. კ. პ. (ბ) რიგებში. 1934 წელს გაიგზავნა სამხედრო-პოლიტიკურ სკოლაში. 1937 წელს საუკეთესოდ დაამთავრა სკოლა და დაინიშნა უმცროს მეთაურთა სკოლის პოლიტხელად. 1938 წელს გადაყვანილ იქნა სასწავლო ასეულის პოლიტხელად. 1939 წელს, როდესაც დაიწყო ომი თეთრფინელებთან, ამხ. გომელაური მიდის ფრონტზე მეტყვიამფრქვეველთა ასეულის პოლიტხელად, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ათასეულის კომისრად. 1940 წელს ასრულებდა პოლკის პარტბიუროს მდივნის მოვალეობას. ამ თანამდებობაზე მოუსწრო სამამულო ომმა. სამამულო ომის დაწყებისას დაინიშნა ცალკე ნაწილის კომისრად.

ჯერ კიდევ თეთრფინელებთან ომის დროს ამხ. გომელაურმა თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა მებრძოლმა და უნარიანმა მეთაურმა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, როდესაც ათასეულის მეთაური დაიჭრა, მეტყვიამფრქვეველთა ასეულის პოლიტხელმა ამხ. გომელაურმა იკისრა ათასეულის მეთაურობა და 7 საათის განმავლობაში გააფთრებით იბრძოდა თეთრფინელების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მან დიდძალი დავლა იგდო ხელთ და ტყვეები წამოიყვანა. მთავრობამ ღირსეულად შეაფასა მამაცი და უნარიანი მეთაური და წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. ფაშისტთა ბანდები შემოიჭრნენ ჩვენს სამშობლოში. ამხ. გომელაური გააფთრებით იბრძვის პირსისხლიანი ფაშისტების წინააღმდეგ.

ჩვენს მებრძოლებს მიცემული ჰქონდათ ამოცანა — გაეთავისუფლებინათ სოფელი ს. სოფლის წინ იყო პატარა ჭალა, სადაც ჩასაფრებული იყვნენ გერმანელები 9 ნაღმსატყორცნით და 3 ტანკეტით. საომარ მასალას მათ სოფლიდან უზიდავდა 2 ტანკი და რამდენიმე საზიდარი. მათი ნაღმსატყორცნების ცეცხლი საშუალებას არ აძლევდა ჩვენს მებრძოლებს გადასულიყვნენ იერიშზე და დაეკავებინათ სოფელი.

ნაღმსატყორცნების მოსპობა იკისრა ამხ. გომელაურმა. მან წაიყვანა 16 მეავტომატე, ღამე მიეპარა ნაღმსატყორცნებს და დაუშინა გრანატები. გერმანელები არ მოელოდნენ ფლანგიდან დარტყმას, დაიბნენ და, ვინც კი ცოცხალი გადარჩა, გაიქცა. ადგილზე დარჩა მოკლული 6 კაცი. გომელაურის მეავტომატეთა ჯგუფმა ამ ჭალაში ხელთ იგდო 9 ნაღმსატყორცნი, 3 ტანკეტი, 3 საზიდარი ვაზნებით, 3 ცხენი, რუკები, დოკუმენტები და სხვ. გზა სოფლისაკენ გაიწმინდა. ჩვენს ნაწილებს აღარ დაუყოვნებიათ და გადავიდნენ შეტევაზე. სოფელი განთავისუფლებულ იქნა, მაგრამ ამ ბრძოლაში ამხ. გომელაური დაიჭრა მხარში.

განიკურნა თუ არა, ამხ. გომელაური კვლავ თავის ნაწილს დაუბრუნდა. ბევრი მძიმე ბრძოლა გადახდა მას, მაგრამ იგი ყოველთვის მებრძოლთა პირველ რიგებში იყო და თავისი უნარიანი მოქმედებით აღწევდა გამარჯვებას.

ამხ. გომელაური კვლავ მძიმედ დაიჭრა. მან დაჰკარგა მარჯვენა ხელის ხმარების უნარი, მაგრამ მაინც დაჟინებით მოითხოვს ბრძოლის ველზე გაგზავნას.

ნ. ილოშვილი

## მთის მწვერვალთა მეომრები

ამ სათაურით 20 ნოემბრის გაზეთ „იზვესტიაში" ვადიმ სობკო კავკასიის დამცველი ოთხი მებრძოლის თავდადებულ სიმამაცეზე მოგვითხრობს.

ღრმა ხეობაში, სადაც მუდამ ჰქრის ცივი ქარი, სადაც ჩამოვარდნილი ქვის ხმა რამდენიმე კილომეტრზე ისმის, წკრიალებს მხიარული სიმღერა. წითელარმიელი ვანო გავაშელი მიდის მთის ბილიკზე, გადადის ქვიდან ქვაზე, კლდიდან კლდეზე, სულ უფრო და უფრო მაღლა, სადაც დევს თეთრი, თვალისმომჭრელი თოვლი.

მას ფეხდაფეხ მიჰყვებიან კიდევ სამნი: ათეულის მეთაური სერჟანტი მიხეილ კოსენკო—მატროსი ნიკოლაევიდან, კოლია ჯაფარიძე და გრიგოლ ბარათაშვილი.

მებრძოლებმა მიაღწიეს მწვერვალს, გაჩერდნენ და ქვებისაგან გააკეთეს ქოხის მაგვარი პატარა უსახურავო თავშესაფარი. ასეთი თავშესაფარი იცავს ქარისა და ადამიანის თვალისაგან.

გაიარა მთელმა დღემ. მებრძოლები იწვნენ თავშესაფარში, პატარა სათოფურებში გასცქეროდნენ ბილიკს, რიგრიგობით იდგნენ სადარაჯოზე და ფხიზლად უსმენდნენ ყოველგვარ ხმაურს.

მთის მწვერვალიდან ჩამოგორდა ქვა. ვანო გავაშელმა კარგად იცის, რომ ზამთარში ქვა თავისთავად არ ჩამოვარდება.

კოსენკომ უბრძანა ყველას ჩაწოლილიყვნენ თავიანთ ადგილებში და მზად ყოფილიყვნენ ბრძოლისათვის.

ჯინჯ-ბუჩქში გამოჩნდა ადამიანი. ყველამ დაინახა მისი წითელარმიული ფორმა, ავტომატი. ყველას გული მოეშვა, ჩვენიაო.

წითელარმიელმა მიმართა სერჟანტ კოსენკოს და მოახსენა, რომ მეზობელი ნაწილის მეთაურმა გამოგზავნა იგი დასაზვერავად. რადგან აქ საგუშაგო უკვე არის, იგი, როგორც კი გათენდება, დაბრუნდება თავის ნაწილში.

არემარე თანდათან წყვდიადში გაეხვია. მაშინ სერჟანტმა კოსენკომ ჯაფარიძე დააყენა საგუშაგოზე, დანარჩენებს კი უბრძანა დაეძინათ.

მებრძოლებს მალე დაეძინათ. ჯაფარიძე გავიდა თავშესაფარიდან, მიეყუდა ქვას და გასცქეროდა ამომავალ მთვარეს.

უცბად საშინელმა დარტყმამ წააქცია ჯაფარიძე. იგი უსულოდ დაეცა კლდის ძირში.

ერთი საათის შემდეგ გაიღვიძა სერჟანტმა კოსენკომ. მან დაუძახა ჯაფარიძეს, მაგრამ პასუხი არ მიიღო. სერჟანტი გამოვარდა გარეთ და მიხვდა ყველაფერს. გამცემი ხელიდან გაუსხლტათ. მაშინ კოსენკო თვითონ დადგა საგუშაგოზე.

გათენებისას კოსენკომ ბარათაშვილი გაგზავნა მეთაურთან ამბის მოსახსენებლად. ბარათაშვილი წავიდა. კოსენკო დააკვირდა მთის ძირში გაწოლილ ხეობას, სადაც რამდენიმე ხე იდგა, და მოეჩვენა, თითქოს ვიღაცამ გაიარა ამ ხეებში.

გავაშელს კარგი სმენა აქვს. კოსენკო არ შემცდარა. ხეობაში ადამიანები მოდიან. გავიდა რამდენიმე წუთი, და კლდეებს შორის გაისმა ნაღმების აფეთქება, ავტომატის ჯერები. გავაშელი და კოსენკო მაშინვე ჩაწვნენ თავიანთ ადგილებში. გავაშელმა თავისი ავტომატი ბილიკს დაუმიზნა. გერმანელები უკვე გამოჩნდნენ. მათ წინ მოუძღოდათ წითელარმიულ ფორმაში გამოწყობილი კაცი—წუხანდელი სტუმარი.

ვანო კარგად ხედავს ბილიკზე გამწკრივებულ გერმანელებს. ახლავე გადაუხდის მათ ღალატისათვის, ჯაფარიძის სიკვდილისათვის. მოკლე ჯერი, და წუხანდელი სტუმარი დაეცა ბილიკზე. გერმანელები კლდეებს ამოეფარნენ.

იწყება ბრძოლა. გერმანელები ახლოვდებიან. უკვე აშკარაა, რომ ორი მებრძოლი ვერ გაუმკლავდება ასეულს...

კოსენკომ უბრძანა გავაშელს წასულიყო და მაშველი ძალები მოეყვანა. სერჟანტი კოსენკო აქ დარჩება. იგი მოკვდება აქ ამ მთის ბილიკზე, მაგრამ მტერს კი არ გამოუშვებს. ვანომ სწრაფად გადაირბინა კლდიდან კლდისაკენ და მოეფარა მწვერვალს.

კოსენკოს არც ისე ბევრი აქვს ვაზნა. საჭიროა მარჯვედ სროლა. უკვე ბევრი გერმანელი გადავარდა ბილიკიდან, ბევრი კლდე შეიღება ბინძური სისხლით, კოსენკო კი წევს თავის ადგილას. სისხლი ჩამოსდის მხრიდან. მაგრამ მას არ სცალია ჭრილობისათვის.

გერმანელებმა მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც ბილიკი ორ კლდეს შუა გადის. მაშინ კოსენკო წამოხტა, გაირბინა რამდენიმე მეტრი და ძირს დაავგორა დიდი ქვები. ქვევიდან მოესმა კლდეში გადავარდნილ ჰიტლერელთა ყვირილი.

გერმანელები მაინც მოდიან, გვერდს უვლიან ბილიკს, გადმოდიან ქვებზე. საჭიროა მათი შეკავება, სანამ მოვა ვანო და მოიყვანს მაშველ ძალას. ავტომატში კი რამდენიმე ვაზნა-ღა დარჩა.

რამდენიმე გერმანელი უკვე ამოვიდა მწვერვალზე. ისინი გაექანენ კოსენკოსაკენ, უნდოდათ მისი ცოცხლად ჩაგდება ხელში. კოსენკო წამოხტა და დაერია ბანდიტებს თავისი ავტომატის კონდახით. სამი გერმანელი დაეცა, ორი გაიქცა.

ახლა გერმანელები უფრო ფრთხილად მოდიან, მხოლოდ მათი ნაღმსატყორცნები ისვრიან განუწყვეტლივ. მაგრამ სერჟანტი კოსენკო კარგად შეეფარა თავშესაფარში, მაღალი ცივი კლდეები კარგად იცავენ მას.

ხოლო როდესაც ერთი წამით შეწყდა ნაღმსატყორცნების ცეცხლი და მთებში სიჩუმე ჩამოვარდა, კოსენკომ გაიგონა ღრმა ხეობაში ჩქარი ნაბიჯები. ეს წითელარმიელი გავაშელი მოდიოდა მთის ბილიკით და რამდენიმე ათეული მებრძოლი მოჰყავდა. ისინი სწრაფად უახლოვდებოდნენ იმ ადგილს, სადაც დევს თვალისმომჭრელი, სპეტაკი თოვლი, სადაც იბრძვის მატროსი მიხეილ კოსენკო.

### იოსებ ნონეშვილი

## დიდი ქარტიის სიბრძნე ნათელი

„სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის წმინდათა-წმინდა მოვალეობაა".

სსრ კავშირის კონსტიტუციის 133 მუხლი.

გარშემო დადგა გრგვინვა მთებისა
და აბრიალდა ცეცხლი მძვინვარე.
თურმე მტერს სურდა გათენებისას,
გადმოელახა შმაგი მდინარე.
მაგრამ ქარიშხლის ძალით შევებით.
გზა გავიკაფეთ ტყით და ბორცვებით
და რიყრაყამდე როგორც დევები,
დუშმანს ცეცხლოვან გრიგალს
ვტყორცნიდით.
და როცა მთვრალი ბანდა მხარდამხარ
სიკვდილის ბილიკს მოჰყვა ხევებით,
მათ ზურგში უცებ ხევის გადაღმა
რისხვად აენთო ერთი ქვემეხი.
შედრკა მტრის ჯარი, მოულოდნელად
გზა გასაქცევი ვერსად ვერ ნახეს,
უკან სიკვდილის ცეცხლი მოსდევდათ,
წინ ჩვენი ცეცხლი სპობდათ ვერაგებს.
ვიდრე ჩამოდგა მთებზე სინათლე,
ვიდრე რიყრაყის სიომ მოჰბერა,

მტრის ზურგში ჩვენი ერთი ქვემეხი
ჰქუხდა და ჰქუხდა დაუნდობელად.
ვინ გადავიდა მდინარის იქით,
რომ გაეთხარა მტრისთვის სამარე?!...
წამით ელვისებრ გაგვკრთავდა ფიქრი
და ისევ ისე ვლეწდით მტარვალებს.
და როს მდინარის იქით ნაპირიც
გადავიარეთ დარტყმით გმირულით,
ვნახეთ მებრძოლი ჩვენი ნაწილის
ქვემეხთან იწვა გულგანგმირული.
სად გვქონდა მაშინ ვარდი და ზამბახ,
იწვოდა მიწა ცეცხლით ნაფერი.
ჩვენ ამოვკვეთეთ ვაჟკაცის საფლავს
დიდი ქარტიის სიბრძნე ნათელი,
რომ ჩვენი ქვეყნის მიწას და ცასა
ვერ დაიმონებს მტრის ბილწი ხელი,
რომ საყვარელი სამშობლოს დაცვა
წმინდათა-წმინდა საქმეა ჩვენი!

## ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გმირი წითელი არმიის გამარჯვებისათვის!

## ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზას გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზას გუშინ გადაეცა პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა.

ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა საერთო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა დროშის გადაცემას, გახსნა ამიერ-კავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილემ ამხ. გ. ესაკიამ.

სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. ლ. პარაშუკი. მან მიულოცა რკინიგზის მუშაკებს ოქტომბრის მაჩვენებლებით სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილის მოპოვება და გადასცა გარდამავალი წითელი დროშა.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ლ. პ. ბერიას სახელობის ამიერ-კავკასიის რკინიგზის უფროსმა ამხ. გ. კიკნაძემ. მან განაცხადა, რომ რკინიგზის მუშაკები ამ მაღალი ჯილდოს საპასუხოდ კიდევ უფრო გააუმჯობესებენ თავიანთ მუშაობას, ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულებენ სახელმწიფო და სპეციალურ დავალებებს, გაზრდიან ორთქლმავალთა გარბენის ტექნიკურ სიჩქარეს და მტკიცედ დაიცავენ მომჭირნეობის რკინისებურ კანონს.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე თბილისის საორთქლმავლო დეპოს ლუნინელი მემანქანე ამხ. პეტროვი და თბილისის სატვირთო სადგურის დისპეტჩერი ამხ. თედეევი.

მიტინგმა მქუხარე ტაშის გრიალში მიიღო მისასალმებელი დეპეშები ხალხთა დიდი ბელადის—ამხანაგ ი. ბ. სტალინისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ლ. პ. ბერიას სახელზე.

მიტინგს დაესწრნენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ტრანსპორტის დარგში ამხ. მ. ჩუბინიძე, ვოროშილოვის სახელობის რკინიგზის უფროსი ამხ. კალაბუხოვი, საკ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. ნ. ბაიდაშვილი და საკ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ლოლაძე.

## სტალინური კონსტიტუციის დღეს წარმატებებით ხვდებიან

თბილისის თამბაქოს ფაბრიკამ, რომელმაც ოქტომბრის საუკეთესო მაჩვენებლებისათვის სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა, ნოემბრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია თამბაქოს საამქრომ, სადაც ყველა მუშა გადაჭარბებით ასრულებს გეგმას. ამ საამქროს სტახანოველმა მუშებმა ზულიაშვილმა, ხუბაშვილმა, მანუკიანმა, ბაღდასაროვამ და სხვ. თითოეულმა ნოემბრის დავალება 450-500 პროცენტამდე შეასრულა.

დიდი ბელადის — ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენების საპასუხოდ ნოემბერში სტახანოველთა რიცხვმა ფაბრიკაში 310 კაცს მიაღწია. ამავე დროს ნოემბერში ოქტომბერთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა თითოეული მუშის საშუალო გამომუშავება.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ფაბრიკამ ნედლეულის, სათბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვაში. ნოემბერში დაზოგეს 22 ტონა სათბობი და 19 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, გასწიეს ძირითადი ნედლეულის ეკონომია 3 ტონის რაოდენობით.

თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივი წარმატებით ხვდება სტალინური კონსტიტუციის დღეს, სახელოვნად იბრძვის სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მორიგი საწარმოო გამარჯვებისათვის.

## თვალსაჩინოდ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება

დუშეთის რაიონის კოლმეურნეებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობა მოსავლის უდანაკარგოდ ასაღებად და 1943 წელს უხვი სამხედრო მოსავლის მისაღებად. კოლმეურნენი, აღფრთოვანებულნი დიდი სტალინის მოხსენებითა და ბრძანებით, ახალ წარმატებებს აღწევენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების შესრულებაში. სოფ. ჩანადირების ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ასანა ჩანადირი) საშემოდგომო კულტურები დასთესა 150 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 100 ჰექტარისა. წარმატებით დაამთავრა საშემოდგომო თესვა სოფ. ბაზალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ლ. არაბული).

სტახანოვური შრომით კოლმეურნეებმა უხვი მოსავალი მიიღეს. ზემოხსენებულ კოლმეურნეობებში შრომადღეზე 5-7 კილოგრამ მარცვლეულს ანაწილებენ.

სოფიო მიქელოვა
საკ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის ინსტრუქტორი.

## ორდენოსანი უფროსი პოლიტხელი ჯ. ბაკურიძე



ჯემალ მურადის-ძე ბაკურიძე დაიბადა სოფ. ავარაში (ორთაბათუმის თემი) 1909 წელს, ღარიბი გლეხის ოჯახში. დაწყებითი სწავლა სოფლად მიიღო, 1926 წელს შევიდა ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, ამავე დროს მუშაობდა აზნავთმშენის ქარხნის მშენებლობაზე. 1931 წელს ამხ. ბაკურიძემ დაამთავრა მუშფაკი და მიავლინეს მოსკოვის საგეგმო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1936 წელს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჯერ ქობულეთში, რაიაღრიცხვის ინსპექტორად, შემდეგ რაიონულ შემნახველ სალაროს გამგედ. 1937 წელს გადაყვანილ იქნა ბათუმის შემნახველ სალაროს გამგედ, ხოლო 1939 წლიდან მუშაობდა ქობულეთის საკ. კ. პ. (ბ) რაიკომის მეორე მდივნად. 1940 წელს ამხ. ჯ. ბაკურიძე გაიგზავნა მოსკოვის ლენინის სახელობის პარტიულ უმაღლეს ორწლიან სასწავლებელში.

ამხ. ჯ. ბაკურიძე კომკავშირის წევრია 1926 წლიდან, ხოლო საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყებიდანვე ამხ. ჯ. ბაკურიძე გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზეა და მთელი თავისი უნარითა და დაუშრეტელი ენერგიით განამტკიცებს თავის მებრძოლებში რკინისებურ დისციპლინას და უსასტიკეს წესრიგს. თვითონ შეუპოვარი და მტკიცე, თავის მებრძოლებს უნერგავს გამძლეობისა და გამარჯვების უნარს, და მათთან ერთად არაერთხელ უსახელებია თავი მედგარი ბრძოლებით ჰიტლერელი ავაზაკების წინააღმდეგ.

ცოლისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში ამხ. ჯ. ბაკურიძე სწერდა: „ძვირფასო ხატიჯე! მე პირნათლად ვასრულებ ჩემს მოვალეობას ჩემი მშვენიერი სამშობლოს, საბჭოთა ხალხის წინაშე. ჩემს ვაჟკაც მებრძოლებთან ერთად თავგანწირულად ვებრძვი გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებს და მუსრს ვავლებ მათ ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. ჩვენ ვისწავლეთ მტრის განადგურება და მალე საბოლოოდ მოვსპობთ მას, გავწმენდთ ჩვენს მიწა-წყალს კაციჭამია ფაშისტებისაგან..."

ამხ. ჯ. ბაკურიძის თავდადებული ვაჟკაცობა ღირსეულად დააფასა მთავრობამ. გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის უფროსი პოლიტხელი ჯემალ მურადის-ძე ბაკურიძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

შ. გვინჩიძე

## ქართველი მეომრები დიდ სამამულო ომში

ილია ერენბურგი თავის წერილში „კავკასიისათვის!" მოგვითხრობს, თუ რა თავგანწირვით იბრძვიან ქართველები რუსებისა და უკრაინელების, მთელი საბჭოთა ხალხის მხარდამხარ ჰიტლერელი არამზადების წინააღმდეგ. იბრძვიან ისინი სამამულო ომის ყველა ფრონტზე, იბრძვიან კავკასიისა და მურმანსკისათვის, ლენინგრადისა და სტალინგრადისათვის. მათ შეხვდებით რჟევთან და სტარაია რუსასთან.

„ლენინგრადისაკენ მიმავალ გზას, — მოგვითხრობს ილია ერენბურგი, — იცავდა ნიკოლოზ ჯიქია. როცა კვდებოდა, ის ჩრდილოეთის ფერმკრთალ ცას უმზერდა, და შეშინებული ცა საქართველოს ცად იქცა. გლახო გოგაშვილმა 40 გერმანელი დახოცა. მან სთქვა: „სტალინგრადთან საქართველოს ვიცავ. მანამდე ვიბრძოლებ, სანამ თვალში სინათლე მაქვს და ძარღვებში მხურვალე სისხლი მიჩქეფს". სტარაია რუსასთან გერმანელებს მუსრს ავლებს მარჯვე მსროლელი არტილერისტი გიორგი ელიზაშვილი. რჟევის განაპირა უბანში გვარდიის გენერალ-მაიორმა ჩანჩიბაძემ მოკლე ბრძანება გასცა: „მკვდრები დამარხეთ, დაჭრილები ზურგში გაიყვანეთ, დანარჩენები — წინ!".

## ვჟლიტოთ ფაშისტი ყაჩაღები

ჩვენმა დიდმა ბელადმა და მასწავლებელმა ამხანაგმა სტალინმა გვიბრძანა ჩვენ, საბჭოთა მეომრებს, ულმობლად ვანადგუროთ და ვჟლიტოთ გერმანელი ფაშისტი ყაჩაღები.

ჩემი ასეულის მებრძოლები ღირსეულად ასრულებენ ამ ბრძანებას. უკანასკნელი დროის განმავლობაში ასეულმა მოსპო 300-მდე ფაშისტი. პირადად მე მოვკალი 18 ჰიტლერელი. 60 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპო ჩვენმა საუკეთესო მეტყვიამფრქვევემ წითელარმიელმა ლუკიანცევმა. უკანასკნელ ბრძოლაში ახალგაზრდა მებრძოლმა სემინოვმა გახსნა თავისი საბრძოლო ანგარიში, მოსპო რა 6 ფაშისტი.

თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგ სტალინის ბრძანების საპასუხოდ ჩვენ კიდევ უფრო გავადიდებთ მოკლულ ჰიტლერელთა საბრძოლო ანგარიშს.

ორდენოსანი ლეიტენანტი.
ს. თარალაშვილი
(№ წითელარმიული გაზეთი).



შორბომბდამშენი ავიაციის ნ ნაწილში. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): პოდპოლკოვნიკი გრიგოლ ჩიტაიშვილი, საბჭოთა კავშირის გმირი მაიორი ალექსანდრე შაპოშნიკოვი და საბჭოთა კავშირის გმირი პოდპოლკოვნიკი ვასილ ტიხონოვი მსჯელობენ მომავალი გაფრენის მარშრუტზე მტრის ღრმა ზურგში.

ფოტო ალ. ლესისა.

## ექვსმა მებრძოლმა 510 გერმანელი მოსპო

(„კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში ნ ნაწილის ექვსმა გვარდიელმა 510 ჰიტლერელი მოსპო.

გვარდიის სერჟანტი ქიხტაური მეტყვიამფრქვეველთა ათეულის მეთაურია. მან მრავალჯერ მოიგერია მტრის გააფთრებული იერიშები და თავის ტყვიამფრქვევით 90 ფაშისტი გამოასალმა წუთისოფელს.

გვარდიის სერჟანტმა მეტყვიამფრქვევე ბელიმ რამდენიმე ბრძოლაში 120 გერმანელი გაჟლიტა.

გვარდიის სერჟანტი მეტრეველი ხშირად დადის ფრიცებზე „სანადიროდ". ერთი თვის განმავლობაში მან სნაიპერული სროლით 70 ფაშისტს მოუღო ბოლო.

გვარდიის სერჟანტმა გალკინმა დაზგის ტყვიამფრქვევის ცეცხლით 68 ფაშისტი დახოცა.

გვარდიის სერჟანტი ლომაკინი განთქმულია ნაწილში, როგორც საუკეთესო სნაიპერი, რომელიც აუცდენლად ურტყამს მტერს. მან უკვე 100 ჰიტლერელი მოსპო.

გვარდიის წითელარმიელმა ხალანსკიმ ერთ დღეს ექვს იერიშში მიიღო მონაწილეობა და პირადად მოსპო მოწინააღმდეგის 16 ჯარისკაცი. ხალანსკის საბრძოლო ანგარიშზე ითვლება 62 მოკლული ჰიტლერელი.

მამაცი ქართველი გვარდიელები რუს და უკრაინელ მებრძოლებთან ერთად ულმობლად მუსრავენ პირსისხლიან ფაშისტებს.

ნ. აგიაშვილი
ი. კეზერაშვილი

## ჩვენი მხედრული მადლობა ზესტაფონის მშრომელთ

ამხ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით № ნაწილის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა მხედრული მადლობა გადავცე ზესტაფონის მშრომელთ და რაიონის ხელმძღვანელობას იმ საოქტომბრო საჩუქრებისათვის, რომლებიც მათ ჩვენს მებრძოლებს გამოუგზავნეს.

ჩვენი ნაწილი მეათე თვეა განუწყვეტლივ მოქმედებს მოწინავე ხაზზე და თავგამოდებით იცავს ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალს კაციჭამია ჰიტლერელებისაგან. ამ ბრძოლაში სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებით თავი ისახელეს ჩვენი ნაწილის მებრძოლებმა და მეთაურებმა — ამხ. ჯაფარიძემ, კიკაბიძემ, გუნიავამ, თუმანიშვილმა, სანაძემ, ახობაძემ, კილაძემ და სხვ.

სიტყვას ვიძლევით, რომ დიდ რუს ხალხთან ერთად გიბრძოლებთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დიდი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნებისათვის.

ჩვენი თავდადება ბრძოლაში და თქვენი გმირობა შრომაში სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს პირსისხლიან ფაშისტებს.

ვ. გიორგაძე

№ ათასეული

## ხულოს რაიონის მშრომელნი დიდი სტალინის მითითებების განხორციელებისათვის ბრძოლაში

ხულოს რაიონის მშრომელნი დაუღალავად მუშაობენ ხალხთა დიდი ბელადის და გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ბრძნულ მითითებათა განსახორციელებლად. საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები დაძაბული შრომით აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას.

რაიონის პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა ისწავლეს ომიანობის შესაფერისად მუშაობა და მთელს თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობას უმორჩილებენ ფრონტის ინტერესებს, ვერაგ მტერზე — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი გამარჯვების ამოცანებს.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს რაიონის მეთამბაქოე კოლმეურნეებმა. მათ ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს თამბაქოს მოსავლის აღების წლიური გეგმა და მნიშვნელოვნად გაადიდეს თამბაქოს მოსავლიანობა. გასულ წელთან შედარებით წელს თამბაქოს მოსავლის აღება დამთავრდა 25 დღით ადრე, ამასთან ― აღებულია 56.346 ზონარმეტრით მეტი თამბაქო.

კიდევ უფრო სწრაფად და შემჭიდროებულ ვადებში იქნა აღებული სიმინდის მოსავალი. წარმატებით ჩატარდა აგრეთვე კარტოფილის მოსავლის აღება.

მძლავრ აღმავლობას მიაღწია საზოგადოებრივმა მეცხოველეობამ. მეცხოველეობის მუშაკებმა პირნათლად შეასრულეს სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. მსხვილფეხა რქიანი საქონლის განვითარების გეგმა შესრულებულია 747 სულის გადამეტებით, ხოლო წვრილფეხა რქიანი საქონლის განვითარებისა — 609 სულის გადამეტებით.

წელს სერიოზული მუშაობა ჩატარდა საქონლისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს უხეში საკვების დამზადების გეგმა, დაგროვებულია 220.332 ცენტნერი უხეში საკვები, აგრეთვე დამზადებულია სილოსი 2.390 ცენტნერის რაოდენობით. ზამთრის განმავლობაში საზოგადოებრივი საქონელი უზრუნველყოფილი იქნება საკმაო რაოდენობის უხეში და წვნიანი საკვებით.

დიდი პატრიოტული აღფრთოვანებით ასრულებენ კოლმეურნეები სახელმწიფო ვალდებულებებს. სახელმწიფოსათვის თამბაქოს სავალდებულო ჩაბარების სექტემბერ-ოქტომბრის გეგმა 101 პროცენტით არის შესრულებული. სერიოზული წარმატებებია მოპოვებული სახელმწიფოსათვის სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების გეგმების შესრულების საქმეში. ხორცის სავალდებულო ჩაბარების 1942 წლის გეგმა 15 ნოემბრისათვის შესრულებული იყო 102 პროცენტით, კარაქის — 108 პროცენტით, კარტოფილის — 100 პროცენტით, ტყავნედლეულის — 100 პროცენტით.

კოლმეურნეები არ ზოგავენ თავიანთ ძალასა და ენერგიას ფრონტის, მშობლიური გმირული წითელი არმიის დასახმარებლად. კოლმეურნე გლეხობის ამ მაღალი პოლიტიკური შეგნებისა და პატრიოტული აღფრთოვანების შედეგია აგრეთვე ის, რომ რაიონმა 102 პროცენტით შეასრულა ფულადი სახსრების მობილიზაციის 1942 წლის გეგმა.

ამ წარმატებების შედეგად ხულოს რაიონმა მოიპოვა აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელსაც მტკიცედ ინარჩუნებს და მომავალშიაც შეინარჩუნებს.

სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში წინ მიდიან და ფრონტული მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან დღვანის, რიყეთის, ალმის, ყარადერეს, ღორჯომის, შუბანის და სხვა სასოფლო საბჭოები. მოწინავეა სოფელ გოგაძეების ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, სადაც მეცხოველეობის განვითარების გეგმის განხორციელებასთან ერთად წარმატებით ასრულებენ წველადობის გეგმასაც. წელს თითოეულ ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 740 ლიტრი რძე, ნაცვლად 730 ლიტრისა. ომიანობის დროის შესაფერისად მუშაობენ აგრეთვე სოფ. ადაძეების ორჯონიკიძის სახელობის, სოფ. ტბეთის სანაპირო დაცვის რაზმეულთა სახელობის, სოფ. თხილვანის საბჭოების მე-8 საგანგებო ყრილობის სახელობის კოლმეურნეობები. სოფ. ადაძეების ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც ხუთ დღეში შეასრულეს კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების გეგმა, წელს შრომადღეზე გასცემენ 4 კილოგრამ სიმინდს და 5 კილოგრამ კარტოფილს.

უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანება და მძლავრი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია რაიონის კოლმეურნეთა შორის ამხანაგ სტალინის ისტორიულმა მოხსენებამ და ბრძანებამ. ათასობით კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები უდიდესი ინტერესით ეცნობიან და სწავლობენ ამხანაგ სტალინის მოხსენებასა და ბრძანებას.

საყვარელი ბელადის მოხსენებას კოლმეურნეებმა ახალი პატრიოტული საქმეებით უპასუხეს. ამხანაგ სტალინის ბრძნული სიტყვებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები ავანსად აბარებენ სახელმწიფოს ხორცს, კარაქს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს 1943 წლის ანგარიშში. დღემდე ავანსად ჩაბარებულია 23 ტონა ხორცი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

დიდი ენტუზიაზმით ჩატარდა სამშობლოს გმირი დამცველებისათვის საჩუქრების შეგროვება და გაგზავნა. კოლმეურნეებმა სახელოვანი წითელი მებრძოლებისათვის შეაგროვეს 2.937 წყვილი თბილი წინდა და ხელთათმანი. აგრეთვე გმირ ფრონტელებს გაუგზავნეს ათეულობით ტონა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: ხორცი, თამბაქო, კარტოფილი და სხვ. გარდა ამისა, რაიონის კოლმეურნეებმა სულ რაღაც 15 დღის განმავლობაში სატანკო კოლონის „საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმელის" ასაგებ ფონდში ჩარიცხეს 106.000 მანეთი.

რაიონის მშრომელებმა იკისრეს კავკასიის გმირ დამცველებს საახალწლოდ გაუგზავნონ ერთი ვაგონი საჩუქარი.

მშრომელ კოლმეურნეთა პატრიოტული აღფრთოვანება კიდევ უფრო მძლავრად აზვირთა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს სასიხარულო ცნობებმა ქალაქ ორჯონიკიძის მისადგომებთან და ქალაქ სტალინგრადის რაიონში გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურებისა და ცენტრალურ ფრონტზე წითელი არმიის წარმატებითი შეტევების შესახებ. კოლმეურნეებმა იკისრეს 1943 წელს კიდევ უფრო გაადიდონ სათესი ფართობები. აღებულია ვალდებულება, რომ 1943 წელს სიმინდს დასთესავენ 200 ჰექტარით მეტს 1942 წელთან შედარებით, ხოლო კარტოფილს — 250 ჰექტარით მეტს. ბევრ კოლმეურნეობაში ამთავითვე შეუდგნენ მზადებას ამ ვალდებულების ღირსეულად შესრულებისათვის.

ხულოს რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, მთელი კოლმეურნე გლეხობა, რომლებიც მჭიდროდ არიან დარაზმულნი ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო, მთელს თავიანთ ძალებს წარმართავენ დიდი სტალინის მოხსენებაში დასახულ ისტორიულ ამოცანათა განსახორციელებლად, ფრონტისადმი დახმარების სულ უფრო და უფრო გასაძლიერებლად.

შ. ჯანუყვაძე
საკ. კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი.

## მკვდარი ნავთი

სარეწები იწვოდა მაიკოპში გერმანელთა მოსვლის მრავალი დღის შემდეგაც. ალი სწრაფად ვრცელდებოდა ირგვლივ. ცხელი, მშრალი ამინდი იდგა. იწვოდა ტყეები ნავთის დამუშავების ახლოს, ხან ერთ, ხან მეორე ადგილას ფეთქდებოდა უზარმაზარი აგზები.

ეს იყო ნავთის პირველი რაიონი, სადაც გერმანელებმა შემოაღწიეს. ყუბანის ველებში მაშინ ფაშისტთა ასობით ტანკები და მანქანები იდგა. გერმანელთა კომუნიკაციები გაიჭიმა და, ბუნებრივია, რომ მათ ჩვენი საწვავის გამოყენების იმედი ჰქონდათ. ჯარებთან ერთად ქალაქში მოვიდა რამდენიმე გერმანელი ნავთმრეწველი; განზრახვა ჰქონდათ მაშინვე შესდგომოდნენ ჭაბურღილების ექსპლოატაციას.

გერმანელები ეძგერნენ აგზებსა და ცისტერნებს. მაგრამ ისინი ცარიელი იყო. გერმანელები ეძებდნენ ჭაბურღილებს, მაგრამ მათი აღმოჩენა შეუძლებელი იყო, ყველა ჭაბურღილი თავის დროზე სავსებით იქნა გაფუჭებული. ირგვლივ კი სულ ახალ-ახალი აფეთქება ისმოდა. მიწაზე, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ მშვიდი და წყნარი იყო, ახლა სიარული საშიში გახდა. მიწა სკდებოდა დამპყრობთა ფეხქვეშ.

იწვოდა გაუზიდავი ნავთის ნაშთები. მთელი ნავთი და მოწყობილობა თავის დროზე ევაკუირებულ იქნა სარეწებიდან. მუშაობის განახლებას უწინარეს ყოვლისა სჭირდებოდა დიდძალი ელექტროენერგია, მაგრამ მძლავრი ელექტროსადგური, რომელიც მომსახურებას უწევდა სარეწებს, გერმანელთა მოსვლამდე დიდი ხნით ადრე იყო ევაკუირებული. მთელი რაიონი უელექტროდ აღმოჩნდა. ბურღვისათვის საჭიროა მძლავრი მაღალვოლტიანი ორთქლტურბინები, ეს ტურბინებიც ევაკუირებული იყო. დარჩა მხოლოდ რამდენიმე პაკომპრესორო სადგური, რომლებიც სავსებით იქნა გაფუჭებული.

კრასნოდარში არსებობდა ნავთის გადამმუშავებელი დიდი ქარხანა, მაგრამ გერმანელებმა ვერც ეს ქარხანა გამოიყენეს, რადგან იგი აფეთქებულ იქნა იმ მომენტში, როცა გერმანელები ქალაქში შემოდიოდნენ. დასასრულ, ფაშისტებს იმედი ჰქონდათ, რომ სწრაფად დაიკავებდნენ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქს, სადაც აგრეთვე არსებობდა ნავთის გადამმუშავებელი ქარხანა. ეს ქარხანა დიდი ხანია იქიდან გადატანილია და ამჟამად სულ სხვა ადგილას მუშაობს.

მთელი ამ სამი თვის განმავლობაში გერმანელები ეძებენ სარეწთა რუკებსა და გეგმებს, ეძებენ სპეციალისტებსა და მუშებს, რათა მათგან მიიღონ თუნდაც რაიმე ცნობა, მაგრამ ყოველგვარი ძიება ამაოა. გარდა რამდენიმე გამცემისა, რომლებსაც სარეწებთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ, გერმანელებთან არავინ არ გამოცხადდა. გერმანელებმა ჩამოახრჩეს მრავალი მუშა, დახვრიტეს ნავთის მრეწველობის მუშაკთა მთელი ოჯახები. ნეფტეგორსკში პირველი მაისის ქუჩაზე ნახავთ ათობით სახრჩობელას, რომლებსაც აქვთ ფირფიტა წარწერით: „ნავთის დამუშავების საბოტაჟისათვის". სახრჩობელებზე ჩამოკიდებული არიან ქალები, ბავშვები, მოხუცები.

ამ რაიონში გერმანელთა მოსვლის პირველი დღიდანვე შეწყდა ყოველგვარი ვაჭრობა. ყველა მაღაზია თავლებად აქციეს. მოსახლეობა ტყის პანტითა და წაბლით იკვებება. გამოაცხადეს, პური არ იქნება, სანამ მოსახლეობა გერმანელთა სარდლობას არ დაეხმარება ნავთის ამოღების აღდგენაში. მუშა გუდულიანოვმა უარი სთქვა ამაზე. რომ ეჩვენებინა ერთ-ერთი მძლავრი ჭაბურღილი. მას ორივე ფეხი გაუხვრიტეს, ის დიდხანს ეგდო ნეფტეგორსკის ერთ-ერთ ქუჩაში, და მის ახლოს ჩამოკიდებული იყო იგივე ფირფიტა—„ნავთის დამუშავების საბოტაჟისათვის".

გერმანიიდან ჩამოსული ნავთმრეწველები თავდაპირველად გაცხოველებით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ნავთის დამუშავების გამო, მაგრამ ისინი მალე დარწმუნდნენ, რომ მთელი ეს ვაჭრობა გახვრეტილ გროშად არა ღირს.

გერმანელი ჯარისკაცები, რომლებსაც პრემიები აღუთქვეს ნავთის სარეწების გამოძებნისა და აღდგენისათვის, ჯერჯერობით ჩვეულებრივი ძარცვა-გლეჯით კმაყოფილდებიან. ჯერ ქათმებს ან ბატებს იტაცებდნენ, შემდეგ კი ღორებსა და მსხვილფეხა რქიან პირუტყვს მიერეკებოდნენ. იმათაც, ვინც ჯარისკაცებს უმალავს სურსათ-სანოვაგეს, მესაბოტაჟეებად აცხადებენ და სასტიკად სჯიან.

სამმა თვემ განვლო, რაც გერმანელებმა მაიკოპის ნავთის სარეწებში შემოაღწიეს, მაგრამ მათ დღემდე ვერც ერთი წვეთი ნავთის ამოღება ვერ მოახერხეს. მათ უკვე ბევრჯერ გამოაცხადეს, ჭაბურღილების გასაწმენდად საბურღ ჩარხებსა და ამწევებს ჩამოვიტანთო. რამდენჯერმე მოაწყეს მუშახელის შეგროვება, რაც ქუჩებში ხალხის შეპყრობით გამოიხატებოდა.

მტერმა იწყო ერთ-ერთი ჭაბურღილის აღდგენა. როცა სამუშაოები თითქმის უკვე მთავრდებოდა, პარტიზანებმა უეცარი თავდასხმით დაანგრიეს ყველაფერი. გერმანელები რამდენჯერმე შეუდგნენ ამ სამუშაოთა აღდგენას, მაგრამ პარტიზანები სულ მუდამ ფუშავდნენ ამ სამუშაოებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ ჭაბურღილის რაიონში გერმანელთა სარდლობამ მთელი გარნიზონი გაგზავნა. დადგეს ექვსი ტყვიამფრქვევი, სანაღმსატყორცნო ბატარეა, დააყენეს ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. მთელ რაიონს მავთულხლართი შემოავლეს. პარტიზანთა თავდასხმები არა სწყდებოდა. და ნავთის დამუშავების ადგილი ბრძოლის ველად გადაიქცა. მუშები გაიქცა-გამოიქცნენ, ხოლო ის მოწყობილობა, რომლის სხვადასხვა ადგილიდან შეგროვებაც მტერმა მოახერხა, მოსპობილია.

რამდენიმე დღის წინათ სტანიცა ხადიჟენსკაიას გერმანელმა კომენდანტმა შენობაში, სადაც წინათ პარტიის რაიკომი იყო მოთავსებული, მოიწვია თათბირი სარეწების აღდგენის საკითხზე. გამოცხადდნენ იგივე გერმანელი ნავთმრეწველები და რამდენიმე გამცემი. გამცემლებს წინადადება მისცეს ეთქვათ, თუ სად რა ჭაბურღილი მდებარეობს, სად არის ნავთის დამუშავების დაწყება უფრო ხელსაყრელი. საზიზღარი მახინჯები კურმილევი და დემიანოვი დასთანხმდნენ დახმარებოდნენ გერმანელებს.

მეორე დღეს სტანიცაში გაჩნდა პარტიზანულ გაზეთ „ვიშკას" ახალი ნომერი. იგი გაკრული იყო სახლების კედლებზე, მოხვდა მუშების ბინებში და გერმანელი კომენდანტის მაგიდაზეც კი იდო. გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა გერმანელთა უკანასკნელ შეკრებაზე. პარტიზანები გაფრთხილებას იძლეოდნენ, დავხვრეტთ ყველას, ვინც გერმანელებისათვის დახმარების გაწევას განიზრახავსო. კერძოდ გამოცხადებული იყო: კურმილევი და დემიანოვი უახლოეს დღეებში მოკლული იქნებიანო.

სტანიცაში საყოველთაო ჩხრეკა დაიწყო. ეძებდნენ რედაქციასა და სტამბას, რა თქმა უნდა, ვერაფერი ვერ იპოვნეს. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ გაჩნდა პარტიზანული გაზეთის ნომერი. მასში გამოცხადებული იყო, გამცემები კურმილევი, დემიანოვი და მათთან ერთად მიმავალი გერმანელი ნავთმრეწველი მოკლული არიანო.

გერმანელები გაფაციცებით განაგრძობენ ნავთის მრეწველობის სპეციალისტთა ძებნას. სპეციალისტთა უმრავლესობა პარტიზანულ რაზმებშია. აქ არიან მაიკოპის ნავთის სარეწთა ინჟინრები, მექანიკოსები, მაღალკვალიფიციური მუშები. მთელი ამ სამი თვის განმავლობაში ისინი მხოლოდ ერთ რამეს აკეთებდნენ—იბრძოდნენ გერმანელთა მიერ სარეწების აღდგენის წინააღმდეგ. მაიკოპის ნავთი მკვდარი რჩება მტრისათვის. რაც უნდა სწერონ გერმანელებმა მაიკოპის ნავთის ხარჯზე თავიანთი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ,—ეს სიცრუეა. მათ ვერ შესძლეს მთელი ამ სამი თვის განმავლობაში თუნდაც ერთი წვეთი საბჭოთა ნავთი მიეღოთ.

ი. ხირინი

ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით.
(„კრასნაია ზვეზდა").

# იდენის გამოსვლა თემთა პალატაში ომისშემდგომი გეგმების საკითხზე

**ლონდონი**, 3 დეკემბერი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა, რომელიც 2 დეკემბერს გამოვიდა თემთა პალატაში ომისშემდგომი მოწყობის საკითხებზე გამართული კამათის დროს, აღნიშნა ის დიდი ამოცანები, რასაც შეხვდება ინგლისი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, როცა ომი დამთავრდება.

ამჟამად, განაცხადა იდენმა, რეკონსტრუქციის ამოცანა კიდევ უფრო ძნელი იქნება, ვიდრე იგი წინანდელი ომის შემდეგ იყო. მთელ მსოფლიოში ომით გამოწვეული ნგრევა გაცილებით უფრო ფართოა, ხოლო ნგრევას ბოლო ჯერ კიდევ არ უჩანს.

თუ რამდენად ვახერხებთ ჩვენ ან ვერ ვახერხებთ ჩვენს მოკავშირეებთან თანამშრომლობას ამჟამად, სთქვა იდენმა, ეს მეტად მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ომისშემდგომს საგარეო პოლიტიკას. ჩვენი მოვალეობაა თვალყური ვადევნოთ იმას, რომ ამჟამად, ომიანობის დროს, მიღწეული შეთანხმებანი მშვიდობიანობის პირობებშიც გაგრძელდეს. მაგრამ ეს ადვილი საქმე როდი იქნება. იმ მომენტში, როცა ხელმოწერილი იქნება დროებითი ზავი და როცა დამთავრდება საომარი მოქმედება, გაჩნდება მისწრაფება შევამციროთ ჩვენი პასუხისმგებლობა, და საკითხი იმის შესახებ, შევძლებთ თუ ვერა ჩვენ ამის შემდეგ შევინარჩუნოთ მშვიდობიანობა, დამოკიდებული იქნება იმაზე, შევძლებთ თუ ვერა ჩვენ შემდეგშიც განვაგრძოთ ის თანამშრომლობა, რომელიც ჩვენ დავამყარეთ შეერთებულ შტატებთან, ჩინეთთან და საბჭოთა რუსეთთან. ბრძოლის დამთავრების შემდეგ მოხდება შემდეგი: დიდ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით ინგლისს, შეერთებულ შტატებსა და რუსეთს ფაქტიურად მონოპოლიურად ეყოლებათ შეიარაღებული ძალები, და ეს შეიარაღებული ძალები გაერთიანებული ერების სახელით გამოყენებულ უნდა იქნან აგრესიის იერიშების განმეორების ასაცილებლად. სხვა სახელმწიფოები, დამოუკიდებლად იმისა, დიდნი არიან ისინი თუ პატარანი, მაგრამ სურთ თავიანთი როლი შეასრულონ, ბედნიერი იქნებიან დატკბენ იმ დამოუკიდებლობით, რისთვისაც ისინი ესოდენ დიდხანს იბრძოდნენ. სრულიად აუცილებელია, რომ ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა აღდგენილ იქნას.

ჩვენთვის ორი ალტერნატივა არსებობს ევროპის მიმართ: ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპის ბედი თვით ევროპელებზე არის დამოკიდებული. ჩვენ გვსურს კეთილდღეობა ჩვენი მეგობრებისათვის, მაგრამ, როცა ჰიტლერი დამარცხდება, თქვენ თვითონ უნდა განსაზღვროთ თქვენი ბედი ისე, როგორც ეს თქვენ გსურთ. მე ძალიან მსურს, რომ ჩვენ ასეთი პასუხი არ მივცეთ. თუ ჩვენ ამგვარად ვუპასუხებთ, მაშინ უარს ვიტყვით ჩვენს პასუხისმგებლობაზე და შევქმნით პირობებს გერმანიის მომავალი აგრესიისათვის. მე მსურს, რათა ჩვენი პასუხი იყოს შემდეგი: „ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რის გაკეთებასაც კი შევძლებთ, იმისათვის, რომ დაგეხმაროთ აღადგინოთ თქვენი დანგრეული ეკონომიკა". ევროპის პირველი მოთხოვნილება იქნება თავდაცვის მტკიცე სისტემის შექმნა გერმანიის ახალი აგრესიის შესაძლებლობის წინააღმდეგ. ჩვენ მზად ვართ ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ სისტემაში. ჩვენ მზად ვართ ამისათვის, ვინაიდან სავსებით და კარგად გვესმის, რომ ევროპის მშვიდობიანობა და უშიშროება ჩვენი საკუთარი მშვიდობიანობისა და ჩვენი უშიშროების ნაწილს შეადგენენ. ჩვენ არასოდეს აღარ შევაქცევთ ზურგს ევროპას.

ინგლისსა, ერების ბრიტანულ თანამეგობრობასა, შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის თანამშრომლობა უნდა არსებობდეს. მე ვფიქრობ, რომ ამგვარი თანამშრომლობის იმედების საფუძველი არის.

ილაპარაკა რა საბჭოთა კავშირზე, იდენმა განაცხადა: „მე უკვე დიდი ხანია იმ შეხედულებისა ვარ, რომ არ არსებობს მიზეზები საბჭოთა კავშირის და ინგლისის მთავრობათა ინტერესების შეჯახებისათვის. ვფიქრობ, რომ პოლიტიკა მტკიცედ ემყარება ისტორიას. ყველა უდიდესი მსოფლიო კონფლიქტის დროს—ნაპოლეონის ომების, წინანდელი მსოფლიო ომისა და ახლანდელი ომის დროს — ინგლისი და რუსეთი ერთსა და იმავე ბანაკში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. ყოველთვის, მას შემდეგ, რაც ეს კონფლიქტები გაივლიდა, ჩვენ ერთმანეთს ვშორდებოდით და კვლავ არ ვერთიანდებოდით შემდეგ კრიზისამდე. აი რატომ არის, რომ ასეთ დიდ მნიშვნელობას ვაკუთვნებ ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილ იქნა წელს და რომელიც გვავალებს ვითანამშრომლოთ ომის შემდეგ 20 წლის განმავლობაში. ეს ხანგრძლივი ვალდებულებაა, რომელსაც, მე ვფიქრობ, თავისი ისტორიული ფესვები აქვს. მალე ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ სტალინმა მას ისტორიული შემობრუნების პუნქტი უწოდა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს სამართლიანია. ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ იმას, რომ პოლიტიკურმა სხვადასხვაობამ—აქ მე ვეხები საკითხს, რომელსაც აგრეთვე შეეხო სტალინი თავის უკანასკნელ სიტყვაში — შეუძლებელი უნდა გახადოს ან აუცილებლად შეუძლებელს გახდის თანამშრომლობას, როგორც ამას ზოგიერთი ადამიანი ფიქრობს. მე ამ ადამიანებს იმაზე მეტად არ ვეთანხმები, ვიდრე იმ ადამიანებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ საბჭოთა კავშირთან ერთად საერთაშორისო პოლიტიკის გატარებისას საჭიროა იმავე კომუნისტური მრწამსის აღიარება, რომელსაც სსრ კავშირში აღიარებენ. უნდა მოვაგონოთ, რომ ამასთან დაკავშირებით თვითონ სტალინმა ამას წინათ გამოსთქვა რამდენიმე შენიშვნა, რომლებსაც მე ვეთანხმები. მან სთქვა: „სასაცილო იქნებოდა უარგვეყო განსხვავება იმ სახელმწიფოთა იდეოლოგიასა და საზოგადოებრივ წყობილებაში, რომლებიც ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციაში შედიან. მაგრამ გამორიცხავს თუ არა ეს გარემოება ამ კოალიციის წევრთა ერთობლივი მოქმედების შესაძლებლობას და მიზანშეწონილებას საერთო მტრის წინააღმდეგ, რომელსაც მათთვის დამონების საფრთხე მოაქვს? უსათუოდ, არ გამორიცხავს". ასეთია ინგლისის მთავრობის თვალსაზრისიც. როცა სტალინი სახავს—როგორც ეს მან არაორაზროვნად გააკეთა თავის უკანასკნელ სიტყვაში—სამივე სახელმწიფოს შორის ამ თანამშრომლობის მშვიდობიან პერიოდშიც განგრძობას, მე ნათლად უნდა განვაცხადო, რომ ამ თანამშრომლობის შენარჩუნებაზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ახალი და უკეთესი საერთაშორისო საზოგადოების აშენება ომის შემდეგ".

ჩვენი ძირითადი ამოცანა, განაგრძო იდენმა, იმაში მდგომარეობს, რომ შევქმნათ მსოფლიო სისტემა ყველა ხალხთა მშვიდობიანი განვითარების უზრუნველსაყოფად. მაგრამ ამისათვის საჭიროა დიდმნიშვნელოვანი წინასწარი პირობა. ჩვენ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ იმის საჭიროება, რომ შევზღუდოთ გერმანიისა და იაპონიის აგრესიული ძალა. მე არ ვახსენებ იტალიას, ვინაიდან ამ საკითხს დიდ პრობლემად არა ვთვლი. უკანასკნელი 70 წლის განმავლობაში გერმანიის მთავრობები შეგნებულად და დაჟინებით მისდევდნენ მსოფლიო ბატონობის პოლიტიკას. ეს პოლიტიკა და ფილოსოფია, რომელიც მის უკან იმალება, მთავარ საფრთხეს წარმოადგენენ მტკიცე მშვიდობიანობისათვის. გაერთიანებული ერების პირველხარისხოვანი და ძირითადი მოვალეობა მათი გამარჯვების მეორე დღეს იქნება ისეთი მდგომარეობის დამყარება, რომლის დროსაც გერმანიისათვის შეუძლებელი იქნება კვლავ დაამყაროს ბატონობა თავის მეზობლებზე ძალადობის ან იარაღის გზით. ასეთია მთელი ამ საკითხის ძირი. უბრალო სისულელე იქნებოდა დაგვეშვა გერმანიის რომელიმე არანაცისტური მთავრობის შექმნა, ხოლო შემდეგ, ასე ვთქვათ, მივნდობოდით ალალბედს. ეს შეიძლება იქნეს ხანგრძლივი და ძნელი პროცესი, მაგრამ იგი დამთავრებულ უნდა იქნას. ვიმეორებ, ეს იმას ნიშნავს, რომ როგორი პოლიტიკური ფილოსოფიაც უნდა არსებობდეს გერმანიაში, იგი ჩამოშორებულ იქნება პერიოდულ აგრესიას.

„ერთი და, შესაძლოა, მთავარი იმედი მშვიდობიანობის შენარჩუნებისა, — განაცხადა დასასრულ იდენმა,—იმ ფაქტორში მდგომარეობს, რომელიც ჩვენს კუნძულებზე ყოველთვის გარკვევით როდი შეგვიგნია, რომ უპრეცედენტო ტანჯვამ გაგვაერთიანა ჩვენ. კოვენტრი, როტერდამი, ჩუნცინი, ვარშავა, ბელგრადი, სტალინგრადი — ყველა ესენი ერთიანობის უფრო მჭევრმეტყველურ გამოხატულებას წარმოადგენენ, ვიდრე სიტყვები, რომლებიც ყოველ სახელმწიფო მოღვაწეს შეუძლია წარმოსთქვას. ჩვენი თანამშრომლობა მშვიდობიან დროს ჩვენ ისეთივე ეფექტიანი უნდა გავხადოთ, როგორსაც იგი ამჟამად, ომის ამ დღეებში წარმოადგენს. ჯერ არასოდეს არა ყოფილა უფრო მოხერხებული, უფრო სრულად კოორდინირებული ოპერაცია, ვიდრე ჩრდილოეთ აფრიკაში წარმოებული ოპერაციაა. განა შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ ჩვენ ამის მიღწევის შესაძლებლობა მხოლოდ ბრძოლის ველზე გვაქვს? ეს სრულიად წარმოუდგენელია. მაგრამ ეს შეიძლება გაკეთდეს და კიდეც უნდა გაკეთდეს. ვევედრეთ ღმერთს, რომ ჩვენ არ დაგვავიწყდეს ეს გაკვეთილები მომავალ წლებში".

# ანკარის სასამართლო პაპენზე „თავდასხმის" საქმის გამო

**ანკარა**, 3 დეკემბერი (საკდესი). ანკარის სასამართლოს მორიგ სხდომაზე, რომელიც მეორეჯერ არჩევს პაპენზე „თავდასხმის" საქმეს, დაკითხულ იქნა პაპენის პირადი მდივანი ქალი, რომელიც წამოყენებულია ათათურქის ბულვარზე „ბომბის" აფეთქების მოწმედ. მდივანი ცდილობდა თავისი ჩვენება შეეცვალა წინასწარ დამზადებული შპარგალკის გამოქვეყნებით. მაგრამ სასამართლოს თავმჯდომარემ განმარტა, მოწმემ სიტყვიერად უნდა მისცეს ჩვენებაო. თავის სიტყვიერ ჩვენებას პაპენის თანამშრომელი ქალი ძალიან დაბნეულად იძლეოდა. იგი აღიარებს, რომ პაპენი აფეთქების ადგილთან 30-მდე მეტრ მანძილზე იყო, და ამით უნებურად აბათილებს პაპენის მტკიცებას, რომელმაც, როგორც ცნობილია, განაცხადა, თითქოს ბომბი მისგან სულ 6–7 მეტრ მანძილზე გასკდა. მოწმე აცხადებს აგრეთვე, რომ აფეთქების შემდეგ ორი უცნობი გაიქცა. პროკურორის მოთხოვნით სასამართლოს თავმჯდომარე ეკითხება მოწმეს, პავლოვისა და კორნილოვის სახით ხომ არ გამოიცნობთ იმ ორ პირსო. მოწმე უარყოფით უპასუხებს. შემდეგ მოწმე ამბობს, რომ აფეთქების შემდეგ მან პაპენთან მიირბინა, აჩქარებდა მას ჩქარა წასულიყო ამ ადგილიდან, და უთხრა, მეორე აფეთქება მოხდებაო. პავლოვი ეკითხება, საიდან იცოდა მოწმემ მეორე აფეთქების შესაძლებლობა და ხომ არ იცოდა მან წინასწარ, როგორც პაპენის მდივანმა, „თავდასხმის" ინსცენირების წვრილმანები. აშკარად აბნეული მოწმე ქალი რაღაცას ბუტბუტებს იმის შესახებ, რომ მეორე აფეთქების თაობაზე იგი „ვარაუდით" ლაპარაკობდა. პავლოვი ეკითხება, რატომ სწორედ აფეთქების მომენტში გამოჩნდა ამ რაიონში გერმანიის სამხედრო ატაშეს მანქანა და „ესეც ხომ წინასწარ არ ყოფილა გათვალისწინებულიო". ამ კითხვაზე დარბაზში სიცილი გაისმის. მოწმე ქალი აბნეულად უპასუხებს, თუ ეს მანქანა აფეთქების ადგილის ახლოს იყო, ეს „შემთხვევითიაო".

შემდეგ პავლოვი აკეთებს განცხადებას, რომლითაც მოაგონებს იმის შესახებ, რომ წარსულ სასამართლო განხილვაზე პროკურორის თანაშემწემ ქემალ ბორამ რაიმე ფაქტებისა და საბუთების მოუტანლად, გააკეთა განცხადება, რომელშიც ცდილობდა პავლოვისათვის მიეწერა მონაწილეობა რაღაც ბოროტმოქმედებებში, რომლებიც მას თითქოს ჩაედინოს რომსა და სოფიაში, სადაც პავლოვი საზოგადოდ არასოდეს არა ყოფილა. მაშინ ქემალ ბორამ განაცხადა, რომ დროის უქონლობის გამო იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას შეემოწმებინა ამ ბრალდებათა საბუთიანობა. „მას შემდეგ,—აცხადებს პავლოვი,—რამდენიმე თვე გავიდა და პროკურორის თანაშემწეს შესაძლებლობა ჰქონდა დარწმუნებულიყო, რომ იგი რაიმე საფუძვლის უქონლად ცდილობდა შეებღალა ჩემი ბიოგრაფია, ისევე როგორც სრულიად რაიმე საბუთის უქონლად იგი განაგრძობს ბრალდებას ჩემსა და კორნილოვის წინააღმდეგ ამ საქმეში, რომელთანაც ჩვენ აბსოლუტურად არავითარი კავშირი არა გვაქვს". რამდენადაც ქემალ ბორას განცხადება გაკეთებული იყო საჯაროდ, შემდეგ კი პრესაში გამოქვეყნებული, პავლოვი მოითხოვს, რათა ქემალ ბორამ საჯაროდ უარჰყოს თავისი სიტყვები. „წინააღმდეგ შემთხვევაში, — ამბობს პავლოვი,—მე უფლება მექნება დავსვა საკითხი ქემალ ბორას მიერ თავისი პროკურორული მოვალეობის ბოროტგანზრახული დარღვევის შესახებ". უპასუხებს რა პავლოვის განცხადებას, ქემალ ბორა ამბობს, რომ, რამდენადაც სასამართლომ თავის დროზე არ მიიღო ეს კითხვა, მას აღარ შეუმოწმებია ფაქტები და რჩევას იძლევა დაივიწყონ ეს ეპიზოდი. სასამართლოს ოქმში შეაქვს როგორც პავლოვის განცხადება, ისე ქემალ ბორას პასუხი.

ამ სხდომაზეც იყო საკითხი ცრუ-ადვოკატ, გერმანიის აგენტ ყარაჩაიზე. სხდომის პირველ ნაწილს იგი არ დასწრებია. სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დღემდე ჯერ კიდევ არ არის პასუხი ანკარელ ადვოკატთა კოლეგიისა იმ საკითხის შესახებ, აღდგენილია თუ არა ეს „დამცველი" ადვოკატის უფლებებში. მაგრამ სხდომის ბოლოს ყარაჩაი გამოცხადდა და თავმჯდომარის ნებართვით იწყო კითხვების მიცემა.

ჟურნალისტთა წრეებში იუწყებიან, რომ ყარაჩაიმ კვლავ მოატყუა სასამართლო, განაცხადა რა, თითქოს უკვე გაიხსნა საადვოკატო ბიურო, რომელიც კანონით ადვოკატს უნდა ჰქონდეს. როდესაც ადვოკატთა კოლეგიამ შეამოწმა ამ ვიგინდარის განცხადება, აღმოჩნდა, რომ მის მიერ ნაჩვენები მისამართით არავითარი ბიურო არ არსებობს.

სასამართლოს შემდეგი სხდომა დანიშნულია 9 დეკემბრისათვის.

# ქალთა მონაწილეობა ა. შ. შტატების სამხედრო წარმოებაში

**ნიუ-იორკი**, 4 დეკემბერი (საკდესი). ამერიკელი ქალები სულ უფრო აქტიურ როლს ასრულებენ სამხედრო წარმოებაში. ტრანსპორტის სამხედრო წარმოებაში ამჟამად მუშაობს დაახლოებით 4 მილიონი ქალი, მაშინ როდესაც შარშან დეკემბერში კი 1.750.000 ქალი მუშაობდა. ა. შ. შტატების სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ამჟამად მუშაობს 15 მილიონამდე ქალი, რაც შეადგენს ამერიკის მთელი მდედრობითი სქესის მოსახლეობის დაახლოებით 28 პროცენტს—4 მილიონით მეტს, ვიდრე გასულ წელს.

ამას წინათ რუზველტმა გამოაცხადა, რომ მას განზრახული აქვს 150 ათას კაცამდე გაადიდოს ამერიკის არმიის ქალთა დამხმარე კორპუსი, რომლის პირადი შემადგენლობაც ასრულებს მთელ რიგ ისეთ მოვალეობებს, რაც დაკავშირებული არ არის საომარ ოპერაციებთან. ეს იძლევა შესაძლებლობას განთავისუფლებულ იქნას მამაკაცთა განსაზღვრული რაოდენობა სამხედრო სამსახურის გასაწევად.

კომუნისტი

შაბათი, 5 დეკემბერი, 1942 წ. № 288 (6604)

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ღალატი" ქუთაისის თეატრში. სურათზე მსახიობები როლებში: ც. ამირეჯიბი (ზეინაბი), ი. ზარდალიშვილი (სოლეიმან-ხანი), ა. მურუსიძე (ანანია), თ. კიკნაძე (რუქაია), შ. პირველი (ოთარ-ბეგი) და ა. კობალაძე (ერეკლე).

# „ღალატი" ქუთაისის თეატრში

დიდი სამამულო ომის სუსხიან დღეებში, როდესაც ყოველი ჩვენგანი გამსჭვალულია ერთი გრძნობით, ერთი სურვილით — განვდევნოთ ფაშისტი დამპყრობნი ჩვენი მშობლიური მიწიდან, ლიტერატურა და ხელოვნება ხშირად მიმართავენ ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს და ჰკრეფენ იქიდან ძვირფას მაგალითებს ხალხის გმირული ბრძოლისას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ამ პიესათა შორის, რომლებიც გამოხატავენ ქართველი ხალხის თავდადებულ ბრძოლას ვერაგი მტრის წინააღმდეგ, ალ. სუმბათაშვილის „ღალატს" თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ცნობილია ამ ნაწარმოების როლი — მან ღრმა კვალი დასტოვა ქუთაისის თეატრის ისტორიაშიც. ბევრი შესანიშნავი შემსრულებელი უნახავს ქუთაისს ამ პიესაში. მრავალის გული აუტოკებიათ სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობით თავისი ბრწყინვალე ოსტატობით ლადო მესხიშვილს, ვალერიან გუნიას, ვ. გამყრელიძეს, გ. იმნელს, ალ. იმედაშვილს, ეფ. მესხს, ნინო ჩხეიძეს და ქართული სცენის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებს. სასიხარულოა, რომ ქუთაისის თეატრს დღესაც ღირსეული ძალები აღმოაჩნდა „ღალატის" ხორცშესხმისათვის.

ამ დადგმაში, რომელიც საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ განახორციელა, ყველაფერი ერთ მიზანს ემსახურება: გამოაჩინოს და ხაზი გაუსვას პატრიოტიზმის მაღალ იდეას, სამშობლოსადმი ხალხის უანგარო ერთგულების იდეას, რომელიც ჩაქსოვილია ალ. სუმბათაშვილის ნაწარმოებში. თეატრმა ეს იდეა მართლად და ამაღლვებლად მიიტანა მაყურებლამდე. უსმენ სპექტაკლს, რომელიც ჩვენი ხალხის წარსულ გმირულ საქმეებს მოგვითხრობს, და შენი ფიქრი ერთი წუთითაც არ შორდება წითელ არმიას, საბჭოთა პარტიზანებს, რომლებიც ავაზაკ ჰიტლერის ურდოებს ებრძვიან, განმათავისუფლებელ ბრძოლას ეწევიან ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. რეჟისორმა შესძლო წარსული სახეების ახლებურად ამეტყველება. ამაშია მისი დამსახურება.

რთული ამოცანა იდგა „ღალატის" შემსრულებელთა წინაშე. თუ ზოგიერთ მათგანს ძველადაც უთამაშნია ამ პიესაში, უმეტესობას პირველად უხდებოდა მუშაობა მის ხორცშესხმაზე. ეს ჰქმნიდა გარკვეულ სიძნელეს, მაგრამ თეატრი ღირსეულად გამოვიდა ამ მდგომარეობიდან. ხასიათები ძირითადად მოხაზულია სწორად და მსახიობთა თამაში, მცირე გამონაკლისით, გამთბარია გულწრფელობითა და მხატვრული სისადავით.

ოთარ-ბეგის ცენტრალურ როლში გამოვიდა შოთა პირველი, ახალგაზრდა, უდავოდ ნიჭიერი მსახიობი. რეჟისორის გაბედული ნაბიჯი აშკარა რისკთან იყო დაკავშირებული. მაგრამ მისმა დაკვირვებულმა მუშაობამ და მსახიობის მონდომებამ თავისი გაიტანა. მართალია, შ. პირველის ოთარ-ბეგი ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფისაგან, მაგრამ ეს უაღრესად რთული სახე მოხაზულია იმდენად ფართოდ და საინტერესოდ, რომ გჯერა: არც იმდენი დროა საჭირო, რომ შ. პირველი ამ როლის ღირსეული შემსრულებელი გახდეს. ჯერჯერობით კი მსახიობს აკლია ოთარ-ბეგისათვის დამახასიათებელი სიდიადე, გრძნობის სიღრმე.

პიესაში მეორე მთავარი ფიგურაა ზეინაბი. მას თამაშობს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ც. ამირეჯიბი. მსახიობს ამ როლისათვის გააჩნია შესაფერი ხმაც, პლასტიკურობაც, კეთილშობილური უბრალოებაც, ტემპერამენტიც, სასიამოვნო და აზრიანი მეტყველებაც. მაგრამ ყველაფერი ეს ჯერ კიდევ არ არის შესაფერისად შეზავებული, როლის ყველა ადგილი არ არის გამთბარი განცდის უშუალობით. ამის შედეგია ის, რომ მსახიობი თანაბრად ძლიერი ვერ არის ყველა ეპიზოდში. შესრულების ყველაზე ძლიერი მომენტია ზეინაბის და ოთარ-ბეგის სცენა მესამე მოქმედებაში. აქ ც. ამირეჯიბი დიდ პათეტიკურ სიმაღლეს აღწევს. სამწუხაროდ, ეს პათეტიკურობა აღარ ჩანდა სპექტაკლის ფინალში.

მიუხედავად ცალკეული ხარვეზებისა, როლი მთლიანად ნიჭიერად არის შესრულებული და თუ ც. ამირეჯიბი შემდეგშიაც განაგრძობს მუშაობას ზეინაბის სახის დახვეწაზე, იგი ამ როლის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი იქნება ქართულ სცენაზე.

მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ავადმყოფობამ საშუალება არ მისცა რესპუბლიკის სახალხო არტისტ ი. ზარდალიშვილს მთლიანად გამოეჩინა თავისი შესაძლებლობა. მის მიერ განსახიერებულ სოლეიმან-ხანს აკლდა პირქუშობა და სისასტიკე.

კარგი ანანიაა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ან. მურუსიძე. მის მიერ შექმნილი სახე გამთბარია დიდი შინაგანი ძალით. გჯერა, რომ ხალხიდან გამოსული სწორედ ასეთი გმირების წყალობით გადაურჩა საქართველო ათას ქარტეხილს და გაუმკლავდა ურიცხვ მტერს.

მოკლე საგაზეთო წერილში ძნელია ყველა შემსრულებლის დაწვრილებით შეფასება. ანსამბლი დაკვირვებით არის შერჩეული. მათ შორის გამოირჩევიან მსახიობები ა. კობალაძე (ერეკლე), დ. კასრაძე (დათო), ვ. მეგრელიშვილი (საბა), ტ. თვალთვაძე (გაიანე), თ. კიკნაძე (რუქაია), ი. ხვიჩია (ბესო), თ. ჯობაძე (ისახარი), ნ. წინამძღვარი (მაიკო).

ღირსეული მხატვრული ჩარჩო გამოუნახავს სპექტაკლისათვის ირ. იაქაშვილს. გაფორმება მოიგებდა, უფრო სადა ფერებით რომ იყოს შესრულებული.

„ღალატს" დიდძალი ხალხი ესწრება. მაყურებლის ყურადღება მას შემდეგშიაც არ მოაკლდება, რადგან იგი მართლად და დამაჯერებლად გვიხატავს ჩვენი ქვეყნის წარსულის ერთ-ერთ გმირულ ეპიზოდს.

შ. ბუაჩიძე

## საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სესია

6–8 დეკემბერს შესდგება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სესია, მიძღვნილი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავისადმი.

**6 დეკემბერს** მოსმენილი იქნება შემდეგი მოხსენებები:

1. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა (მომხს. ამხ. ი. თავაძე).
2. საქართველოს მეცნიერება საბჭოთა ხელისუფლების წლებში (მომხს. აკად. ს. ჯანაშია).

**7 დეკემბერს:**

1. ადამიანის ნორმალური ელექტროენცეფალოგრამა და მისი ტიპოლოგიური მნიშვნელობა (მომხს. აკად. ივ. ბერიტაშვილი).
2. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ძველსა და ახალ ქართულს შორის (მომხს. აკად. ა. შანიძე).
3. გეოლოგიის ზოგადი მიღწევა და პრობლემები (მომხს. აკად. ალ. ჯანელიძე).

**8 დეკემბერს:**

1. ყურადღების რაობის პრობლემისათვის განწყობის თეორიის თვალსაზრისით (მომხს. აკად. დ. უზნაძე).
2. სეისმოგამძლეობის თეორიის განვითარების გზები და მისი გამოყენება მიმდინარე მომენტის პირობებში (მომხს. აკად. ქ. ზავრიევი).
3. ქართული საერო ლიტერატურის წარმოშობის პრობლემისათვის (რომანი „ტავრომენიანი"). (მომხს. აკად. კ. კეკელიძე).

სესიის სხდომები 7 და 8 დეკემბერს შესდგება დღის 11 საათზე აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8).

## თეატრებში

**6 დეკემბერს:** სახოპერო — დღისით — „ტრავიატა", საღამოს — „აბესალომ და ეთერი". რუსთაველის სახელობის — დღისით და საღამოს — „ოლეკო დუნდიჩი". მარჯანიშვილის სახელობის — დღისით და საღამოს — „პარტიზანები". გრიბოედოვის სახელობის — დღისით და საღამოს — „რუსი ადამიანები". სომხური თეატრი — დღისით და საღამოს — „ნამუსი". ახუნდოვის სახელობის — დღისით და საღამოს — „შირინი". მუსიკალური კომედიის — დღისით და საღამოს — „არშინ-მალ-ალან". სანკულტურის — „ვერბიცკის ცდები". მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — დღისით — „ბროლის სასახლე", საღამოს—„შურისძიება". მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი—დღისით და საღამოს—„შინაურები ვართ, მოვრიგდებით". მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი — დღისით და საღამოს — „ცოცხალთა დღე".

## ფეხბურთი

### სტალინური კონსტიტუციის სახელობის თასის გათამაშება

ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე 6 დეკემბერს ჩატარდება სტალინური კონსტიტუციის სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში. გათამაშება შესდგება 5 ტურისაგან.

## კინოებში

რუსთაველის სახ. — „გიორგი სააკაძე". ოქტომბერი — „ბაბუკი ჩვენი ქალაქიდან". დამკვრელი — „ხიდი". კომკავშირელი — „მეზღვაურის ქალიშვილი". ლუქსემბურგის სახ. — „მაშენკა". სპარტაკი — „კინოკონცერტი". 26 კომ. სახ. — „საბრძოლო კინოკრებული № 12".

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე გ. ჯიბლაძე

ამხანაგების ჯგუფი იუწყება თანამშრომელ მილიტა გოგლიევას მამის

**იოსებ სოლომონის-ძე გოგლიევის**

გარდაცვალებას. გამოსვენება საავადმყოფოდან (ელექტრონის შესახვევი № 4) 6 დეკემბერს, დღის 1 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.

თბილისის რაიაღმასკომის მრეწვკომბინატის სამკერვალო-სატრიკოტაჟო ფაბრიკის დირექცია და მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან თანამშრომელ ფაცია მიქაძის უდედამთილის

**მარიამ (მაიკო) გლახუას-ასულ მიქაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 6/XII, ქ. შორაპანში. 1577

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ვერა ხუციშვილის დის

**ლიზა პაპიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 6/XII, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე. 1576

გზათა მშენებლობის სამმართველოს მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ამავე სამმართველოს ინჟინერ ქეთო ხელაძის მამის

**ვლადიმერ (ლადო) იოსების-ძე ხელაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5/XII, 6½ ს. ბოჭორიშვილის ქ. № 19. დაკრძალვა 6/XII, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე. 1580

წისქვილკომბინატის კოლექტივი იუწყება თანამშრომლის შიო მაჭარაძის დედის

**მარიამ გიგოს-ასულ მაჭარაძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 6/XII. 2 ს. არდაგნის შესახ. № 13. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1581

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომას" კოლექტივი იუწყება თანამშრომლის

**გრიგოლ პაატას-ძე ჯოჯაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5/XII, 7 ს. გამოსვენება 6/XII, 1 ს. პლეხანოვის პროსპ. № 172. 1582

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი ლენინის ქ. № 28.

უე 7949